

ფასს სტანდარტები 2019 ტერმინების ლექსკონი

ტერმინი	განმარტება	სტანდარტი
ა		
ადრინდელი საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები	აღრიცხვის საფუძველი, რომელსაც ფასს სტანდარტებამდე იყენებდა საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს.	ფასს 1 ფასს 14
ამონაგები	შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.	ფასს 15
ამორტიზაცია	არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხის სისტემატური ჩამოწერა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.	ბასს 38
ამორტიზებადი თანხა	არამატერიალური აქტივის ღირებულება, ან ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივის ღირებულების ნაცვლად გამოყენებული სხვა თანხა, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით.	ბასს 38
ამოსავალი მონაცემები	დაშვებები, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას, მათ შორის დაშვებები რისკის შესახებ, როგორცაა, მაგალითად: ა) რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების კონკრეტული მეთოდისთვის (როგორცაა, მაგალითად ფასწარმოქმნის მოდელი) დამახასიათებელი თანდაყოლილი რისკი; და ბ) შეფასების მეთოდში გამოსაყენებელი ამოსავალი მონაცემებისთვის დამახასიათებელი რისკი.	ფასს 13
ანაზღაურებადი ღირებულება	აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულე-ბასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.	ფასს 5 ბასს 16
ანაზღაურებადი ღირებულება	აქტივის ან ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.	ბასს 36
ანარიცხები	ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრე-ლია.	ბასს 37
ანტიგაზავება	აქციაზე შემოსავლის ზრდა ან აქციაზე ზარალის შემცირება, რომელიც გამოწვეულია იმ დაშვებით, რომ კონვერტირებადი ინსტრუმენტები კონვერტირებული ან ვარანტები და ოფციონები გამოყენებულ იქნა, ან მოხდა ჩვეულებრივი აქციების გამოშვება წინასწარ დადგენილი პირო-ბების დაკმაყოფილების შემდეგ.	ბასს 33
არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება	საიჯარო აქტივის ნარჩენი ღირებულების ნაწილი, რომლის რეალი-ზებას მეიჯარე არ უზრუნველყოფს, ან გარანტირებულია მხოლოდ მეი-ჯარესთან დაკავშირებული მხარის მიერ.	ფასს 16
არაემპირიული ამოსავალი მონაცემები	ამოსავალი მონაცემები, რომლის დასამუშავებლად არ არსებობს საბაზრო მონაცემები და დამუშავებულია ყველანაირი ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე იმ დაშვებების შესახებ, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის, ან ვალდებულების ფასის დადგენისას.	ფასს 13
არამაკონტროლებელი წილი	შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალი, რომელიც მშობელ საწარმოს არ ეკუთვნის არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ.	ფასს 3 ფასს 10
არამატერიალური აქტივი	იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე.	ფასს 3 ბასს 38

არამატერიალური აქტივის წარჩენი ღირებულება	შეფასებული თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო ვარაუდობს აქტივიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს, შემცირებული მის გასვლაზე გასაწევი მოსალოდნელი დანახარჯებით.	ბასს 38
არსებითი	აღრიცხვის ელემენტების გამოტოვება ან დაშვებული უზუსტობები არსებითია, თუ ისინი ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში გავლენას ახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. არსებითობა დამოკიდებულია გამოტოვებული აღრიცხვის ელემენტის ან უზუსტობის სიდიდესა და ბუნებაზე, გარემო პირობების ან კონტექსტის გათვალისწინებით. არსებითობის განსაზღვრელი ფაქტორი შესაძლოა იყოს ელემენტის სიდიდე ან ბუნება, ან ორივე ერთად.	ბასს 1 ბასს 8
არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ყველა შესაძლო შემთხვევის შედეგად.	ფასს 9
არჩევითი საიჯარო გადახდები	მოიჯარის მიერ მეიჯარისთვის განხორციელებული გადახდები საიჯარო აქტივის იმ პერიოდებში გამოყენების უფლებისთვის, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება და რომლებიც გათვალისწინებული არ არის იჯარის ვადაში.	ფასს 16
აქტივი	რესურსი: ა) რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად; და ბ) რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.	ბასს 38
აქტივის გამოყენების უფლება	აქტივი, რომელიც წარმოადგენს მოიჯარის უფლებას, საიჯარო აქტივი გამოიყენოს იჯარის ვადის განმავლობაში.	ფასს 16
აქტივის ან ვალდებულების საგადასახადო ბაზა	თანხა, რომელიც გამოიყენება მოცემული აქტივის ან ვალდებულების საგადასახადო მიზნებისათვის.	ბასს 12
აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯები	დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგების გადასახადის ხარჯის გამოკლებით.	ბასს 36
აქტივის გამოყენების ღირებულება	მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, რომლის წარმოქმნა მოსალოდნელია აქტივის უწყვეტი გამოყენებიდან და სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისას მისი გაყიდვიდან	ფასს 5
აქტივის გამოყენების ღირებულება	აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება.	ბასს 36
აქტივის თვითღირებულება	აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების, ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა ან, სადაც შესაფერისია, ასეთ აქტივთან დაკავშირებული თანხა, როდესაც თავდაპირველი აღიარება ხდება სხვა სტანდარტების განსაკუთრებული მოთხოვნების შესაბამისად.	ბასს 16 ბასს 38 ბასს 40
აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა	განისაზღვრება: ა) პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივის გამოყენება; ან ბ) პროდუქციის ან მსგავსი ნაწარმის რაოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საწარმოს მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით.	ბასს 16 ბასს 36 ბასს 38

აქტივის ნარჩენი ღირებულება	შეფასებითი თანხა, რომელსაც საწარმო ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა.	ბასს 16
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	გრანტი, რომელიც საწარმოს, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის ეძლევა, რომ შეიძინოს, შექმნას, ააშენოს ან რაიმე სხვა გზით მოიზიდოს გრძელვადიანი აქტივები. გრანტი შესაძლოა ითვალისწინებდეს დამატებით პირობებსაც, რომლებიც განსაზღვრავს აქტივის სახეობას, განლაგებას, მათი შექმნის ან ფლობის პერიოდს.	ბასს 20
აქტიური ბაზარი	ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად.	ფასს 13
აქტუარული მოგება და ზარალი	დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულების დღევანდელი ღირებულების ცვლილებებს, რაც გამოწვეულია: ა) წინა წლების გამოცდილების საფუძველზე განხორციელებული კორექტირებით (ადრინდელ აქტუარულ დაშვებებსა და ფაქტობრივ სიტუაციას შორის განსხვავების შედეგები); და ბ) აქტუარულ დაშვებებში შეტანილი ცვლილებებით.	ბასს 19
აქციის ოფციონი	ხელშეკრულება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, მაგრამ არ ავალდებულებს, წინასწარგანსაზღვრულ პერიოდში გახდეს საწარმოს აქციების ხელმომწერი, აქციის ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფასის პირობებში.	ფასს 2
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით	აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, რომლის თანახმად ანგარიშვალდებული საწარმო იძენს საქონელს ან მომსახურებას, ამ საქონლის ან მომსახურების მომწოდებლის მიმართ ფულადი სახსრების ან სხვა აქტივების გადაცემის ვალდებულების წარმოშობის გზით, რომლის სიდიდე განისაზღვრება ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების (მათ შორის აქციების ან აქციის ოფციონების) ფასის (ან ღირებულების) საფუძველზე.	ფასს 2
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით	აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, რომლის თანახმად ანგარიშვალდებული საწარმო: ა) საქონელს ან მომსახურებას იღებს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით (მათ შორის, აქციებისა და აქციის ოფციონების) ანაზღაურების სანაცვლოდ; ან ბ) იღებს საქონელს ან მომსახურებას, მაგრამ ამ ოპერაციისთვის მას არ ეკისრება მომწოდებელთან ანგარიშსწორების ვალდებულება.	ფასს 2
აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმება	შეთანხმება ანგარიშვალდებულ საწარმოს (ან ჯგუფის სხვა საწარმოს, ან ჯგუფის რომელიმე საწარმოს ნებისმიერ აქციონერს) და მეორე მხარეს (მათ შორის, დაქირავებულ პირებს) შორის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის განხორციელებაზე, რომელიც მეორე მხარეს უფლებას აძლევს, მიიღოს: ა) ფულადი სახსრები ან საწარმოს სხვა აქტივები ისეთი ოდენობით, რომელიც ეფუძნება ანგარიშვალდებული საწარმოს ან ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების (მათ შორის აქციების ან აქციის ოფციონების) ფასს (ან ღირებულებას); ან ბ) ანგარიშვალდებული საწარმოს ან ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები (მათ შორის აქციები ან აქციის ოფციონები), თუ უფლების გადაცემის დათქმული პირობები შესრულდება.	ფასს 2

აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია	<p>ოპერაცია, რომლის თანახმად ანგარიშვალდებული საწარმო:</p> <p>ა) იღებს საქონელს ან მომსახურებას ამ საქონლის ან მომსახურების მომწოდებელთან (მათ შორის, დაქირავებულ პირთან) დადებული აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების ფარგლებში; ან</p> <p>ბ) იღებს ვალდებულებას, მომწოდებელს გადაუხადოს აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციისთვის ანაზღაურება, აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების ფარგლებში, როდესაც ჯგუფის სხვა საწარმო იღებს ამ საქონელს ან მომსახურებას.</p>	ფასს 2
აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღი	<p>თარიღი, როდესაც ანგარიშვალდებული საწარმო და მეორე მხარე (მათ შორის, დაქირავებული პირი) დებენ აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებას, ანუ, როდესაც საწარმო და მეორე მხარე სახელშეკრულებო ვადებსა და პირობებზე შეთანხმდებიან. უფლების მინიჭების თარიღისთვის საწარმო მეორე მხარეს ანიჭებს საწარმოს ფულადი სახსრების, სხვა აქტივების, ან წილობრივი ინსტრუმენტების მიღების უფლებას იმ პირობით, თუ დაკმაყოფილდება დათქმული უფლების გადაცემის პირობები, თუ ასეთი არსებობს. თუ ეს შეთანხმება დამტკიცების პროცედურას ექვემდებარება (მაგალითად, აქციონერთა მიერ), აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღად მიიჩნევა დამტკიცების თარიღი.</p>	ფასს 2
აღიარების შეწყვეტა	<p>ადრე აღიარებული ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამოღება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან.</p>	ფასს 9
ბ		
ბაზრის მონაწილე	<p>აქტივის ან ვალდებულების ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზრის მყიდველები და გამყიდველები, რომლებსაც ახასიათებთ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშანი:</p> <p>ა) ერთმანეთისგან დამოუკიდებელი არიან, ე.ი. არ არიან ერთმანეთისთვის დაკავშირებული მხარეები, ბასს 24-ში მოცემული განმარტების შესაბამისად. თუმცა, რეალური ღირებულების შესაფასებლად შესაძლებელია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციის ფასის გამოყენება ამოსავალ მონაცემად, თუ საწარმოს გააჩნია მტკიცებულებები, რომ ოპერაცია განხორციელდა საბაზრო პირობებით;</p> <p>ბ) კარგად ინფორმირებულები არიან, საკმარისად ნათელი წარმოდგენა აქვთ აქტივის ან ვალდებულებისა და ოპერაციის შესახებ ყველა არსებული ინფორმაციის საფუძველზე, იმ ინფორმაციის ჩათვლით, რომლის მიღებაც შესაძლებელია სტანდარტული და საყოველთაოდ აღიარებული სპეციალური შემოწმების ჩატარებით;</p> <p>გ) შეუძლიათ მოცემული აქტივით ან ვალდებულებით შესრულებულ ოპერაციაში მონაწილეობა;</p> <p>დ) სურთ მოცემული აქტივით ან ვალდებულებით შესრულებულ ოპერაციაში მონაწილეობა, ე.ი. ისინი რაიმე მიზეზით იძულებული არ არიან, არამედ მოტივირებულები არიან, მონაწილეობა მიიღონ ამ ოპერაციაში.</p>	ფასს 13
ბიოლოგიური აქტივი	<p>ცხოველი ან მცენარე.</p>	ბასს 41
ბიოლოგიური ტრანსფორმაცია	<p>მოიცავს ზრდას, დეგენერაციას, წარმოებას და გამრავლებას, რაც იწვევს ბიოლოგიური აქტივის ხარისხობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებებს.</p>	ბასს 41
ბიოლოგიური აქტივების ჯგუფი	<p>მსგავსი ცხოველების ან მცენარეების ერთობლიობა.</p>	ბასს 41

ბ

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	დასაბეგრი დროებითი სხვაობით გამოწვეული, მომავალ საანგარიშგე-ერიოდებში გადასახდელი მოგებიდან გადასახადის თანხა.	ბასს 12
გადავადებული საგადასახადო აქტივები	მოგებიდან გადასახადების თანხა, რომელიც უნდა აღდგეს მომავალ სა-ანგარიშგებო პერიოდში:	ბასს 12
	<ul style="list-style-type: none"> ა) გამოსაქვით დროებით სხვაობებთან დაკავშირებით; ბ) გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანასთან დაკავშირებით; და გ) გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის მომავალ პერიოდში გადატანასთან დაკავშირებით. 	
გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთი	ნებისმიერი ხარჯის (ან შემოსავლის) ანგარიშის ნაშთი, რომელიც სხვა სტანდარტების შესაბამისად აღიარებას არ ექვემდებარება აქტივის ან ვალდებულების სახით, მაგრამ აკმაყოფილებს სხვა პერიოდში გადავადების კრიტერიუმებს, რადგან ის უკვე გათვალისწინებულია, ან მოსალოდნელია, რომ გათვალისწინებული იქნება ტარიფების მარე-გულირებელი ორგანოს მიერ ტარიფ(ებ)ის დადგენისას/გაანგარი-შებისას, რომლის (რომელთა) ამოღებაც შესაძლებელი იქნება მომხმარებლებისგან.	ფასს 14
გადაზღვეული აქტივები	გადაზღვევის პოლისის მფლობელის ნეტო სახელშეკრულებო უფლე-ბები, გადაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად.	ფასს 4
გადაზღვევის ხელშეკრულება	სადაზღვევო ხელშეკრულება, რომელიც გასცა ერთმა მზღვეველმა (გადამზღვეველმა), რათა მეორე მზღვეველს (გადაზღვევის პოლისის მფლობელს) აუნაზღაუროს გადაზღვევის პოლისის მფლობელის მიერ გაცემული ერთი ან მეტი ხელშეკრულების ზარალი.	ფასს 4
გადამზღვევი	მხარე, რომელსაც გადაზღვევის ხელშეკრულების თანახმად აქვს ვალ-დებულება, კომპენსაცია გადაუხადოს გადაზღვევის პოლისის მფლო-ბელს, თუ მოხდება სადაზღვევო შემთხვევა.	ფასს 4
გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი	საწარმო, რომელსაც გააჩნია გადაწყვეტილების მიღების უფლება და სხვა მხარეებისთვის წარმოადგენს ან მარწმუნებელს, ან რწმუნებულს.	ფასს 10
გაზაგება	აქციაზე შემოსავლის შემცირება ან აქციაზე ზარალის ზრდა, რომელიც გამოწვეულია იმ დაშვებით, რომ კონვერტირებადი ინსტრუმენტები კონვერტირებულია, ან ვარანტები და ოფციონები გამოყენებულ იქნა, ან მოხდა ჩვეულებრივი აქციების გამოშვება წინასწარ დადგენილი პი-რობების დაკმაყოფილების შემდეგ.	ბასს 33
გამოსაქვითი დროებითი სხვაობა	თანხა, რომელიც მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში უნდა გამოიქ-ვითოს საგადასახადო მოგების (საგადასახადო ზარალის) თანხიდან, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების ანაზღაურება ან დაფარვა მოხდება.	ბასს 12
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	<p>სხვაობა:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) მთლიან საიჯარო ინვესტიციასა; და ბ) ნეტო საიჯარო ინვესტიციას შორის. 	ფასს 16
გამოყენების პერიოდი	მთლიანი დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც აქტივი გამოი-ყენება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შესასრულე-ბლად (მათ შორის, პერიოდები, რომლებიც თანამიმდევრული არ არის).	ფასს 16
გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტი	აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების ფარგლებში საწარ-მოს მიერ მეორე მხარისთვის საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტზე მი-ნიჭებული უფლება (პირობითი ან უპირობო).	ფასს 2

გამოყენების ღირებულება	მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, რომლის წარმოქმნა მოსალოდნელია აქტივის უწყვეტი გამოყენებიდან და მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისას გაყიდვიდან.	
გამსვლელი ჯგუფი	აქტივების ჯგუფი, რომლის დათმობა უნდა მოხდეს გაყიდვის ან სხვა გზით, ერთად, როგორც ჯგუფის, ერთი გარიგებით და ამ აქტივებთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელთა გადაცემა მოხდება ამ გარიგების მეშვეობით. გამსვლელ ჯგუფში შევა საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი გუდვილიც, თუ ჯგუფი არის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომელსაც ბასს 36-ის – „აქტივების გაუფასურება“ (გადასინჯული 2004 წელს) – 80-87-ე პუნქტების მიხედვით მიეკუთვნა გუდვილი, ან ოპერაცია, ამგვარი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფარგლებში.	ფასს 5
განვითარება	არის სამეცნიერო გამოკვლევების შედეგების ან სხვა ცოდნის გამოყენება ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მასალების, მოწყობილობის, საქონლის, პროცესების, სისტემების ან მომსახურების წარმოების დაგეგმვასა და პროგნოზირებაში, მათი კომერციული წარმოების ან გამოყენების დაწყებამდე.	ბასს 38
განმარტებითი შენიშვნები	მოიცავს დამატებით ინფორმაციას, გარდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციისა. განმარტებით შენიშვნებში მოცემულია ამ ანგარიშგებებში წარმოდგენილი მუხლების სიტყვიერი დახასიათება, ან მათ შესახებ დეტალიზებული მონაცემები, ასევე ინფორმაცია იმ მუხლების შესახებ, რომლებიც არ აკმაყოფილებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს.	ბასს 1
განმეორებით გამოყოფილი ოფციონი	ახალი აქციის ოფციონი, რომელიც მაშინ გამოიყოფა, როდესაც ადრე გამოყოფილი აქციის ოფციონის გამოსაყენებელი ფასის დაფარვა აქციებით ხდება.	ფასს 2
განსაკუთრებული აქტივი	აქტივი, რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისთვის საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი.	ბასს 23
განცალკევება	ხელშეკრულების კომპონენტების აღრიცხვა ისე, თითქოს ისინი ცალკე ხელშეკრულებები იყოს.	ფასს 4
განცალკევებული სუბიექტი	ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი ფინანსური სტრუქტურა, მათ შორის, დამოუკიდებელი იურიდიული პირები, ან კანონმდებლობით აღიარებული სუბიექტები, იმის მიუხედავად, რეგისტრირებული არიან თუ არა იურიდიულ პირებად.	ფასს 11
განცალკევებით გასაყიდი ფასი (საქონლის ან მომსახურების)	ფასი, რომლითაც საწარმო ცალკე გაყიდდა მომხმარებელზე დაპირებულ საქონელს ან მომსახურებას.	ფასს 15
გაუფასურების ზარალი	თანხა, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.	ბასს 16
გაუფასურების ზარალი	თანხა, რომლითაც აქტივის, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.	ბასს 36 ბასს 38
გაუფასურების შემოსულობა ან ზარალი	შემოსულობა ან ზარალი, რომელიც ფასს 9-ის 5.5.8 პუნქტის შესაბამისად აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, ასევე ფასს 9-ის 5.5 ნაწილის გაუფასურების მოთხოვნების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი.	ფასს 9
გარანტირებული ელემენტი	გარანტირებული სარგებლის გადახდის ვალდებულება, მათ შორის ისეთ ხელშეკრულებაშიც, რომელიც მოიცავს დისკრეციული მონაწილეობის პირობას.	ფასს 4

გარანტირებული სარგებელი	გადახდები ან სხვა სახის სარგებელი, რომელზეც კონკრეტულ პოლის მფლობელს ან ინვესტორს უპირობო უფლება აქვს და არ ექვემდებარება ხელშეკრულების გამცემის ნება-სურვილს, ხელშეკრულების თანახმად.	ფასს 4
გარანტირებული გასამრჯელოები	გასამრჯელოები, რომლებზეც უფლებები, საპენსიო პროგრამის შესაბამისად, დაკავშირებული არ არის სამსახურის ვადის გაგრძელებასთან.	ბასს 26
გარიგების დანახარჯები	წმინდა დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვასთან, ემისიასთან, ან გასვლასთან.	ფასს 9
გარიგების ფასი (მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებისთვის)	ანაზღაურების ის ოდენობა, რომლის მიღების უფლებას საწარმო მოელის, რომ მოიპოვებს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარის სახელით მიღებული თანხებისა.	ფასს 15
გასვლის ფასი	ფასი, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვისას, ან, რომელიც გადასახდელი იქნება ვალდებულების გადაცემისას.	ფასს 13
გაყიდვის დანახარჯები	დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია აქტივის გადაცემასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგებიდან გადასახადის ხარჯის გამოკლებით.	ბასს 41
გრძელვადიანი აქტივი	აქტივი, რომელიც არ პასუხობს მოკლევადიანი აქტივის განმარტებას.	ფასს 5
გუდვილი	აქტივი, რომელიც წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებისას შექმნილი, სხვა აქტივებიდან წარმოქმნილ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის ცალკე იდენტიფიცირება და აღიარება შეუძლებელია.	ფასს 3
გაყიდვის დანახარჯები	დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გადაცემასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგებიდან გადასახადის ხარჯის გამოკლებით.	ფასს 5 ბასს 41
დ		
დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტია	ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მფლობელს უფლებას ანიჭებს, ემიტენტს უკან დაუბრუნოს ინსტრუმენტი ფულად სახსრებზე ან სხვა ფინანსურ აქტივზე გაცვლის გზით, ან ავტომატურად უბრუნდება ემიტენტს ამა თუ იმ გაურკვეველი მოვლენის მოხდენისას მომავალში, ან ინსტრუმენტის მფლობელის სიკვდილის ან პენსიაში გასვლის დროს.	ბასს 32
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამა	საპენსიო პროგრამა, რომლის თანახმადაც საპენსიო გასამრჯელოსთვის გასაცემი თანხები განისაზღვრება ფორმულით, რომელსაც, ჩვეულებრივ, საფუძვლად უდევს დაქირავებულ პირთა მიერ გამოთქმული გასამრჯელო და/ან ნამსახურებ წელთა რაოდენობა (სტაჟი).	ბასს 26
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამა	შრომითი საქმიანობის შემდგომი პერიოდის გასამრჯელოს ყველა პროგრამა, გარდა დადგენილშენატანიანი პროგრამისა.	ბასს 19
დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა ვალდებულება (აქტივი)	პროგრამის დეფიციტი, ან პროფიციტი, რომელიც კორექტირებულია დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა აქტივების გარკვეულ ზღვრულ სიდიდემდე შეზღუდვის პირობის ნებისმიერი გავლენის გათვალისწინებით.	ბასს 19
დადგენილგადასახდელიანი პროგრამის დეფიციტი ან პროფიციტი	ა) დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულების დღევანდელ ღირებულებას გამოკლებული ბ) პროგრამის აქტივების (თუ არსებობს) რეალური ღირებულება.	ბასს 19

დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულების დღევანდელი ღირებულება	დაქირავებული პირის მიერ მიმდინარე და წინა პერიოდებში გაწეული მომსახურების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების დასაფარად მომავალში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება, პროგრამის აქტივების გამოქვითვის გარეშე.	ბასს 19
დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულებასთან (აქტივთან) დაკავშირებული პროცენტების წმინდა სიდიდე	დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა ვალდებულებაში (აქტივში) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მომხდარი ცვლილება, რაც წარმოიშობა დროთა განმავლობაში.	ბასს 19
დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა ვალდებულების (აქტივის) გადაფასების თანხა	<p>მოიცავს:</p> <p>ა) აქტუარულ მოგებასა და ზარალს;</p> <p>ბ) პროგრამის აქტივებიდან მიღებულ უკუგებას/შემოსავალს, იმ თანხების გამოკლებით, რომლებიც შედის დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა ვალდებულებასთან (აქტივთან) დაკავშირებული პროცენტების წმინდა თანხაში; და</p> <p>გ) პროგრამის აქტივების ზღვრული სიდიდის გავლენაში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, იმ თანხების გამოკლებით, რომლებიც შედის დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა ვალდებულებასთან (აქტივთან) დაკავშირებული პროცენტების წმინდა თანხაში.</p>	ბასს 19
დადგენილშენატანიანი საპენსიო პროგრამა	შრომითი საქმიანობის შემდგომი პერიოდის გასამრჯელოს პროგრამა, რომლის მიხედვით საწარმოს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულში (ფონდში) შეაქვს შენატანების განსაზღვრული რაოდენობა და მომავალში არ ეკისრება ფონდში დამატებითი შენატანების გადახდის იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, თუ მიმდინარე ან წინა პერიოდებში დაქირავებული პირების მიერ გაწეული მომსახურებისათვის განკუთვნილი გასამრჯელოების გასაცემად ფონდში არ აღმოჩნდება საკმარისი აქტივები.	ბასს 19
დადგენილშენატანიანი საპენსიო პროგრამა	საპენსიო პროგრამა, რომლის თანახმადაც საპენსიო გასამრჯელოსთვის გასაცემი თანხები განისაზღვრება საპენსიო ფონდში შენატანებისა და ამ ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლების საფუძველზე.	ბასს 26
დაკავშირებული მხარე	<p>პირი ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას.</p> <p>ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:</p> <ul style="list-style-type: none"> (i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; (ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან (iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. <p>ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:</p> <ul style="list-style-type: none"> (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული); (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო); 	ბასს 24

	<ul style="list-style-type: none"> (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს; (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა; (v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დაქირავებულებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა; (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი; (vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი; (viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას. 	
დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია	რესურსების, მომსახურების ან ვალდებულებების გადაცემა ანგარიშვალდებულ საწარმოსა და დაკავშირებულ მხარეს შორის, მიუხედავად იმისა, მოითხოვება თუ არა თანხის გადახდა.	ბასს 24
დამქირავებელთა ჯგუფის საპენსიო პროგრამა	დადგენილშენატანიანი პროგრამა (სახელმწიფო პროგრამების გარდა), ან დადგენილგადასახდელიანი პროგრამა (სახელმწიფო პროგრამების გარდა), რომელიც: <ul style="list-style-type: none"> ა) აერთიანებს იმ სხვადასხვა საწარმოს მიერ შეტანილ აქტივებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან საერთო კონტროლს; და ბ) ამ აქტივების საშუალებით ერთზე მეტი საწარმოს დაქირავებულ პირებს უზრუნველყოფს გასამრჯელოებით იმგვარად, რომ შენატანებისა და გასამრჯელოების დონე განისაზღვრება იმის გაუთვალისწინებლად, რომელ საწარმოში მუშაობენ ისინი. 	ბასს 19
დამცავი უფლებები	უფლებები, რომელთა მიზანია ამ უფლებებით აღჭურვილი მხარის ინტერესების დაცვა, მაგრამ ამ მხარეს არ ანიჭებს უფლებამოსილებას იმ საწარმოსთან მიმართებით, რომელთანაც დაკავშირებულია ეს უფლებები.	ფასს 10
დანახარჯების მიდგომა	შეფასების მეთოდი, რომელიც ასახავს თანხას, რომელიც საჭირო იქნებოდა მიმდინარე მომენტში აქტივის საექსპლუატაციო სიმძლავრის ჩასანაცვლებლად (ხშირად უწოდებენ ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულებას).	ფასს 13
დასაბეგრი დროებითი სხვაობა	თანხა, რომელიც უნდა დაემატოს მომავალ საანგარიშგებო პერიოდში საგადასახადო მოგების (საგადასახადო ზარალის) თანხას, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების ანაზღაურება ან დაფარვა მოხდება.	ბასს 12
დასაშვები საწყისი ღირებულება	თვითღირებულების ან ამორტიზებული ღირებულების შემცველად გამოყენებული სიდიდე მოცემული თარიღისათვის. შემდგომში დარიცხული ცვეთა ან ამორტიზაცია გულისხმობს, რომ საწარმომ თავდაპირველად აქტივი ან ვალდებულება მოცემული თარიღისათვის აღიარა და მისი ღირებულება დასაშვებ საწყის ღირებულებას უდრიდა.	ფასს 1

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	ყველა სახის ანაზღაურება, რომელიც გაიცემა დაქირავებულ პირთა მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, ან დაქირავებული პირის შრომითი საქმიანობის (შრომითი ურთიერთობის) შეწყვეტასთან დაკავშირებით.	ბასს 19
დაქირავებულ პირთა გასამრჯელო	საწარმოს მიერ, ან საწარმოს სახელით ნებისმიერი ფორმით გადახდილი, გადასახდელი ან გაცემული ანაზღაურება, საწარმოსათვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.	ბასს 24
დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები (შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოებს გარდა), რომლებიც მთლიანად გადაიხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა გასწია შესაბამისი მომსახურება.	ბასს 19
დაქირავებულ პირთა სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები	დაქირავებული პირის ყველა ტიპის გასამრჯელო, დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოების, შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოებისა და შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოების გარდა.	ბასს 19
დაქირავებულ პირთა გრძელვადიანი გასამრჯელოების ფონდის მფლობელობაში არსებული აქტივები	<p>აქტივები (ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული არაგადაცემადი ფინანსური ინსტრუმენტების გარდა), რომლებიც:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) იმყოფება ანგარიშვალდებული საწარმოსაგან იურიდიულად დამოუკიდებელი ერთეულის (ფონდის) განკარგულებაში და არსებობს მხოლოდ დაქირავებული პირის გასამრჯელოების გადასახდელად ან დასაფინანსებლად; და ბ) ხელმისაწვდომია მხოლოდ დაქირავებული პირის გასამრჯელოების გადასახდელად ან დასაფინანსებლად, ხელმისაწვდომი არ არის ანგარიშვალდებული საწარმოს საკუთარი კრედიტორებისათვის (გაკოტრების შემთხვევაშიც კი) და არ უბრუნდება ანგარიშვალდებულ საწარმოს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც: <ul style="list-style-type: none"> (i) ფონდში დარჩენილი აქტივები საკმარისია პროგრამის ან ანგარიშვალდებული საწარმოს ყველა შესაბამისი ვალდებულების დასაფარად, რომლებიც ეხება დაქირავებულ პირთათვის გასამრჯელოების გადახდას; ან (ii) ანგარიშვალდებულ საწარმოს ზემოაღნიშნული აქტივები უბრუნდება დაქირავებული პირისთვის უკვე გადახდილი გასამრჯელოების ასანაზღაურებლად. 	ბასს 19
დაქირავებულები და მსგავსი მომსახურების გამწვევი სხვა პირები	ფიზიკური პირები, რომლებიც საწარმოს პირად მომსახურებას უწევენ და ამასთან (ა) დაქირავებულ პირთა კატეგორიას მიეკუთვნებიან იურიდიული ან საგადასახადო მიზნებისთვის, ან (ბ) საწარმოსთვის მუშაობენ მისი ხელმძღვანელობით ისევე, როგორც იურიდიული ან საგადასახადო მიზნებისათვის დაქირავებულ პირებად მიჩნეული პირები, ან (გ) მათი მომსახურება დაქირავებულ პირთა მიერ გაწეული მომსახურების მსგავსია. მაგალითად, ეს ტერმინი მოიცავს მთელ ხელმძღვანელ კადრებს, ე.ი. ვისაც აქვს დაგეგმვის, საწარმოს საქმიანობის მართვისა და კონტროლის პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება, არააღმასრულებელი დირექტორების ჩათვლით.	ფასს 2
დეპოზიტური კომპონენტი	სახელშეკრულებო კომპონენტი, რომელიც არ აისახება, როგორც წარმოებული ინსტრუმენტი ბასს 39-ის მიხედვით და მოხვედებოდა ბასს 39-ის მოქმედების სფეროში, თუ იარსებებდა ცალკე ინსტრუმენტის სახით.	ფასს 3
დივიდენდები	მოგების განაწილება წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელებს შორის, გარკვეული კლასის კაპიტალში მათი კუთვნილი წილის პროპორციულად.	ფასს 9

დისკრეციული მონაწილეობის პირობა

დამატებითი სარგებლის, როგორც გარანტირებულ სარგებელზე დამატების, მიღების სახელშეკრულებო უფლება;

ფასს 3

- ა) რომელიც, სავარაუდოდ, მთლიანი სახელშეკრულებო სარგებლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს;
- ბ) რომლის სიდიდე ან ვადები, ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების გამცემის ნება-სურვილზეა დამოკიდებული;
- გ) რომელიც ხელშეკრულების თანახმად ემყარება:
 - (i) მრავალი ხელშეკრულების გაერთიანების შედეგს ან ხელშეკრულების გარკვეულ ტიპს;
 - (ii) ხელშეკრულების გამცემის მფლობელობაში მყოფი აქტივების გარკვეულ ჯგუფთან დაკავშირებულ რეალიზებულ და/ან არარეალიზებულ საინვესტიციო უკუგებას;
 - (iii) კომპანიის მოგებას ან ზარალს, ფონდებს ან სხვა სამეურნეო ერთეულს, რომელიც ხელშეკრულებას გასცემს.

ბასს 12

დროებითი სხვაობა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და მის საგადასახადო ბაზას შორის განსხვავების თანხას.

ბასს 12

ე

ეკონომიკური მომსახურების ვადა

პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია, რომ შესაძლებელი იქნება აქტივის ეკონომიკურად გამოყენება ერთი ან მეტი მომხმარებლის მიერ, ან პროდუქციის ან ანალოგიური ერთეულების რაოდენობა, რომელთა მიღება მოსალოდნელია აქტივის გამოყენებიდან ერთი ან მეტი მომხმარებლის მიერ.

ფასს 16

ემპირიული ამოსავალი მონაცემები

ამოსავალი მონაცემები, რომლებიც დამუშავებულია საბაზრო მონაცემების გამოყენებით, როგორცაა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია ფაქტობრივი მოვლენებისა თუ ოპერაციების შესახებ და ასახავს იმ დაშვებებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას.

ფასს 13

ერთობლივი სამეურნეო ერთეული

სამეურნეო ერთეული, რომელიც არ არის რომელიმე ინვესტორის საკუთრებაში მყოფი და უშუალოდ თავის მესაკუთრეებს, წევრებს ან მონაწილეებს უზრუნველყოფს დივიდენდებით, დაბალი დანახარჯებით ან სხვა სახის ეკონომიკური სარგებლით. მაგალითად, ერთობლივი სადაზღვევო კომპანია, საკრედიტო კავშირი და კოოპერაციული სამეურნეო ერთეული – ყველა ერთობლივ სამეურნეო ერთეულს წარმოადგენს.

ფასს 3

ერთობლივი საქმიანობა

საქმიანობა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე.

ფასს 11

ბასს 28

ერთობლივი კონტროლი

ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი კონტროლის უფლება ამა თუ იმ საქმიანობაზე, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ერთობლივად მკონტროლებელ მხარეთა ერთსულოვან თანხმობას.

ფასს 11

ბასს 28

ერთობლივი ოპერაცია

ერთობლივი საქმიანობა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა – ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

ფასს 11

ერთობლივი ოპერატორი

ერთობლივი ოპერაციის მონაწილე მხარე, რომელსაც გააჩნია ერთობლივი კონტროლის უფლება ერთობლივ ოპერაციაზე.

ფასს 11

ერთობლივი საქმიანობის მონაწილე მხარე	ნებისმიერი საწარმო, რომელიც მონაწილეობს ერთობლივ საქმიანობაში, იმის მიუხედავად, გააჩნია თუ არა ერთობლივი კონტროლი ამ საქმიანობაზე.	ფასს 11
ერთობლივი საწარმო	ერთობლივი საქმიანობა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებსაც გააჩნიათ ერთობლივი კონტროლი საქმიანობაზე, აქვთ უფლებები ამ საქმიანობის წმინდა აქტივებზე.	ფასს 11 ბასს 28
ერთობლივი მეწილე	ერთობლივი საწარმოს მონაწილე მხარე, რომელსაც გააჩნია ერთობლივი კონტროლის უფლება ერთობლივ საწარმოზე.	ფასს 11 ბასს 28
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი	მეთოდი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოსათვლელად, ასევე საპროცენტო ამონაგების ან საპროცენტო ხარჯების მიკუთვნებისა და აღიარებისთვის მოგებაში ან ზარალში შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.	ფასს 9
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე.	ფასს 9
3		
ვადაგადაცილებული ფინანსური აქტივი	ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მიიჩნევა, თუ კონტრაქტმა არ გადაიხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.	ფასს 9
ვალდებულება	საწარმოს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა.	ბასს 37
ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი	შეფასება იმისა, საჭიროებს თუ არა სადაზღვევო ვალდებულების საბალანსო ღირებულება გაზრდას (ან შესაბამისი გადავადებული შეძენის დანახარჯები, ან შესაბამისი არამატერიალური აქტივები შემცირებას), რომელიც ემყარება მომავალი ფულადი ნაკადების მიმოხილვას.	ფასს 4
ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი	რისკი იმისა, რომ საწარმო ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი, სხვათაშორის, მოიცავს საწარმოს საკუთარ საკრედიტო რისკსაც.	ფასს 13
ზ		
ზარალის რეზერვი	რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც დაკავშირებულია ფასს 9-ის 4.1.2 პუნქტის შესაბამისად შეფასებულ ფინანსურ აქტივებთან, საიჯარო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებთან, 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების დაგროვილი ოდენობა, ასევე ანარიცხები სესხის გაცემის ვალდებულებებსა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.	ფასს 9
თ		
თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები	იჯარის მოსაპოვებლად გაწეული დამატებითი დანახარჯები, რომლებიც სხვა შემთხვევაში არ გაიწეოდა, გარდა ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებით მწარმოებელი ან დილერი მეიჯარის მიერ გაწეული დანახარჯებისა.	ფასს 16

12-თვიანი საკრედიტო ზარალი

ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევების შედეგად.

ო

იდენტიფიცირებადი აქტივი

აქტივი არის იდენტიფიცირებადი, თუ იგი:

ფასს 3

- ა) განცალკევებადია, ე.ი. შესაძლებელია მისი განცალკევება ან გამოყოფა სამეურნეო ერთეულისგან და გაყიდვა, გადაცემა, იჯარით გაცემა, მასზე ლიცენზიის გაცემა ან გაცვლა, ცალკე, ან შესაბამის ხელშეკრულებასთან, იდენტიფიცირებად აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად, იმის მიუხედავად, ამის გაკეთებას აპირებს თუ არა სამეურნეო ერთეული; ან
- ბ) წარმოიშობა სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებიდან, იმის მიუხედავად, შესაძლებელია თუ არა ამ უფლებების გადაცემა, ან საწარმოსგან ან სხვა უფლებებიდან თუ ვალდებულებებიდან მისი განცალკევება.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საწარმოს მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ბასს 27-ის მოთხოვნების გათვალისწინებით, შვილობილ, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვა შეუძლია თვითღირებულებით, ფასს 9-ის - „*ფინანსური ინსტრუმენტები*“ - შესაბამისად, ან წილობრივი მეთოდის გამოყენებით, როგორც ეს აღწერილია ბასს 28-ში - „*ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში*“.

ბასს 27

ინვესტირებული საწარმოს კონტროლი

ინვესტორს გააჩნია კონტროლი ინვესტირებულ საწარმოზე, თუ ინვესტორი ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავლების სიდიდეზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.

ფასს 10

იურიდიული ვალდებულება

ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება:

ბასს 37

- ა) ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემული ან ნაგულისხმევი პირობების);
- ბ) კანონმდებლობის; ან
- გ) კანონის სხვა მოქმედების შედეგად.

იჯარა

ხელშეკრულება ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

ფასს 16

იჯარის ვადა

იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად:

ფასს 16

- ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და
- ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

იჯარის წამახალისებელი გადახდები	მეიჯარის მიერ მოიჯარისთვის იჯარასთან დაკავშირებით განხორციელებული გადახდები, ან მეიჯარის მიერ მოიჯარის დანახარჯების ანაზღაურება ან საკუთარ თავზე აღება.	ფასს 16
იჯარის მოდიფიკაცია	იჯარის მოქმედების სფეროს, ან საიჯარო ანაზღაურების ცვლილება, რომელიც გათვალისწინებული არ იყო იჯარის თავდაპირველ პირობებში (მაგალითად, ერთი ან რამდენიმე საიჯარო აქტივის გამოყენების უფლების დამატება ან შეწყვეტა, ან სახელშეკრულებო იჯარის ვადის გახანგრძლივება ან შემცირება).	ფასს 16
იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი	საპროცენტო განაკვეთი, რომლის გამოყენებით გამოთვლილი (ა) საიჯარო გადახდებისა და (ბ) არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულების დღევანდელ ღირებულებათა ჯამი ტოლია (1) საიჯარო აქტივის რეალური ღირებულებისა და (2) მეიჯარის თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების ჯამის.	ფასს 16
იჯარის წამოწყების თარიღი	საიჯარო ხელშეკრულების დადებისა და მხარეების მიერ იჯარის ძირითადი პირობების შეთანხმების თარიღს შორის უადრესი თარიღი.	ფასს 16
იჯარის ვადის დაწყების თარიღი	თარიღი, საიდანაც მეიჯარე მოიჯარისთვის გამოსაყენებლად ხელმისაწვდომს ხდის საიჯარო აქტივს.	ფასს 16
კ		
კვლევითი სამუშაოები	ორიგინალური და დაგეგმილი გამოკვლევები, რომლებიც განხორციელებულია ახალი სამეცნიერო ან ტექნიკური ცოდნის მისაღებად.	ბასს 38
კომპენსაცია	მოიცავს დაქირავებულ პირთა ყველა გასამრჯელოს (როგორც განსაზღვრულია ბასს 19-ით - „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“), მათ შორის გასამრჯელოს, რომელსაც ეხება ფასს 2 - „აქტივებზე დაფუძნებული გადახდა“.	ბასს 24
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები წარდგენილია, როგორც ერთი ეკონომიკური სუბიექტის აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები.	ფასს 10 ბასს 27 ბასს 28
კონსტრუქციული ვალდებულება	ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს საქმიანობის შედეგად, როდესაც: ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ან სახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით საწარმომ სხვა მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში თავის თავზე აიღებს გარკვეულ ვალდებულებებს; და ბ) შედეგად საწარმომ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.	ბასს 37
კორპორაციული აქტივები	აქტივები, გარდა გუდვილისა, რომლებიც ხელს უწყობს როგორც განსახილველი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, ასევე სხვა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების მომავალი ფულადი ნაკადების მოძრაობას.	ბასს 36
ლ		
ლოკვიდობის რისკი	რისკი იმისა, რომ საწარმო სიმძლევებს წააწყდება ისეთ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც იფარება ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემით.	ფასს 7

მ

მაგალდებულებელი მოვლენა	მოვლენა, რომელიც წარმოქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რის შედეგადაც საწარმოს არა აქვს ამ ვალდებულებების დაფარვის გარდა, სხვა რეალური ალტერნატივა.	ბასს 37
მაკვალიფიცირებული სადაზღვევო პოლისი	სადაზღვევო პოლისი, გამოშვებული მზღვეველის მიერ, რომელიც არ არის ანგარიშვალდებულებული საწარმოს დაკავშირებული მხარე (როგორც განსაზღვრულია ბასს 24-ში), თუ პოლისიდან მიღებული შემოსავალი: ა) გამოიყენება მხოლოდ დადგენილგადასახდელიანი პროგრამით განსაზღვრული დაქირავებული პირის გასამრჯელოების გადასახდელად ან დასაფინანსებლად; და ბ) ხელმისაწვდომი არ არის ანგარიშვალდებულებული საწარმოს საკუთარი კრედიტორებისათვის (გაკოტრების შემთხვევაშიც კი) და არ უბრუნდება ანგარიშვალდებულ საწარმოს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც: (i) პოლისიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს ჭარბ აქტივებს, რომლებიც საჭირო არ არის დაქირავებული პირის ყველა შესაბამისი გასამრჯელოს ვალდებულებების დასაფარად პოლისით; ან (ii) პოლისიდან მიღებული შემოსავალი უბრუნდება ანგარიშვალდებულ საწარმოს, დაქირავებული პირისთვის უკვე გადახდილი გასამრჯელოების ასანაზღაურებლად.	ბასს 19
მარაგები	აქტივები, რომლებიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.	ფასს 13
მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება	ბაზრის მონაწილეების მიერ არაფინანსური აქტივის იმგვარი გამოყენება, რაც მაქსიმალურად გაზრდიდა აქტივის, ან აქტივებისა და ვალდებულებების იმ ჯგუფის (მაგალითად, საწარმოს) ღირებულებას, სადაც გამოყენებული იქნებოდა მოცემული აქტივი.	
მალალი აღბათობით მოსალოდნელი	მოსალოდნელზე გაცილებით უფრო შესაძლებელი.	ფასს 5
მეიჯარე	საწარმო, რომელიც გადასცემს გარკვეული პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.	ფასს 16
მეკავშირე საწარმო	საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა.	ბასს 28
მეორე დონის ამოსავალი მონაცემები	1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.	ფასს 13
მესამე დონის ამოსავალი მონაცემები	არაემპირიული ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულების შესახებ.	ფასს 13
მესაკუთრეები	საკუთარ კაპიტლად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელები.	ბასს 1
მესაკუთრეები	ფასს 3-ის მიზნებისათვის, მესაკუთრეები ფართო მნიშვნელობით გამოიყენება და მოიცავს ინვესტორის საკუთრებაში მყოფი სამეურნეო ერთეულის სააქციო წილის მფლობელებს და ერთობლივი სამეურნეო ერთეულების მესაკუთრეებს, წევრებს, ან მონაწილეებს.	ფასს 3

მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება	ქონება, რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლების ფორმით) საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.	ბასს 40
მზღვეველი	მხარე, რომელსაც სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად აქვს ვალდებულება, კომპენსაცია გადაუხადოს პოლისის მფლობელს, თუ მოხდება სადაზღვევო შემთხვევა.	ფასს 4
მთლიანი სრული შემოსავალი	პერიოდის მანძილზე სამეურნეო ოპერაციებითა და სხვა მოვლენებით განპირობებული საკუთარი კაპიტალის ცვლილება, იმ ცვლილებების გარდა, რომლებიც გამოწვეულია მესაკუთრეებთან, როგორც აქციონერებთან შესრულებული ოპერაციებით.	ბასს 1
მთლიანი საიჯარო ინვესტიცია	ა) მეიჯარის მიერ ფინანსური იჯარისთვის მისაღები საიჯარო გადახდებისა და ბ) მეიჯარის სასარგებლოდ დაგროვებადი ნებისმიერი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულების ჯამი.	ფასს 16
მიმდინარე გადასახადი	საანგარიშგებო პერიოდის საგადასახადო მოგებიდან (საგადასახადო ზარალიდან) გადასახდელი (დასაბრუნებელი) მოგებიდან გადასახადის თანხა.	ბასს 12
მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივები	მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების დანახარჯები, რომელიც აქტივად აღიარდება საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.	ფასს 6
მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების დანახარჯები	მინერალური რესურსების ძიებისა და შეფასების საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც საწარმომ გასწია მანამ, სანამ მინერალური რესურსის მოპოვების ტექნიკური განხორციელება და კომერციული სიცოცხლისუნარიანობა აშკარა გახდებოდა.	ფასს 6
მინერალური რესურსების მარაგის ძიება და შეფასება	მინერალური რესურსების, მათ შორის, სასარგებლო წიაღისეულის, ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და მსგავსი არაკვლავწარმოებადი რესურსების ძიება მას შემდეგ, როცა საწარმომ მიიღო გარკვეულ ტერიტორიაზე მინერალური რესურსის მოპოვების, ასევე მოპოვების ტექნიკური განხორციელებისა და კომერციული სიცოცხლისუნარიანობის დადგენის იურიდიული უფლებები.	ფასს 6
მნიშვნელოვანი გავლენა	ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და სა-ოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.	ბასს 28
მოგება ან ზარალი	შემოსავლების ჯამს გამოკლებული ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გარეშე.	ბასს 1
მოდულიკაციის ძალაში შესვლის თარიღი	თარიღი, როდესაც ორივე მხარე თანხმდება იჯარის მოდიფიკაციაზე.	ფასს 16
მოდულიცირებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი	თანხა, რომელიც წარმოიქმნება ფინანსური აქტივის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულების კორექტირებისას, მხარეთა შეთანხმებით გადასინჯული ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ასახვის მიზნით.	ფასს 9
მოიჯარე	საწარმო, რომელიც მოიპოვებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას, ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ.	ფასს 16
მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი	საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.	ფასს 16

მოკლევადიანი აქტივი	<p>აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ კრიტერიუმს:</p> <p>ა) მოსალოდნელია მისი რეალიზაცია, ან გამიზნულია გასაყიდად ან გამოსაყენებლად, საწარმოს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;</p> <p>ბ) იგი, უპირველეს ყოვლისა, ინახება გასაყიდად;</p> <p>გ) მისი რეალიზაცია მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან თორმეტი თვის განმავლობაში;</p> <p>დ) ეს არის ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტის აქტივი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი გაყიდვა ან მისი საშუალებით ვალდებულების დაფარვა იზღუდება საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან მინიმუმ თორმეტი თვით.</p>	ფასს 5
მოკლევადიანი იჯარა	<p>იჯარა, რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს. იჯარა, რომელიც შეიცავს საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, არ არის მოკლევადიანი იჯარა.</p>	ფასს 16
მომსახურების პირობა	<p>უფლების გადაცემის პირობა, რომელიც მეორე მხარეს ავალდებულებს, საწარმოს ემსახუროს წინასწარდადგენილი პერიოდის განმავლობაში. თუ მეორე მხარე, მიზეზის ტიპის მიუხედავად, შეწყვეტს მომსახურების გაწევას უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, ის აღარ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობას. მომსახურების პირობა არ მოითხოვს საქმიანობის საკონტროლო მაჩვენებლის მიღწევას.</p>	ფასს 2
მომსახურების ღირებულება (დანახარჯი)	<p>მოიცავს:</p> <p>ა) მიმდინარე მომსახურების ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულების დღევანდელი ღირებულების ზრდას, რაც გამოიწვია დაქირავებული პირის მიერ მიმდინარე პერიოდში გაწეულმა მომსახურებამ;</p> <p>ბ) წარსულში გაწეული მომსახურების ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს წინა პერიოდებში დაქირავებული პირის მიერ გაწეული მომსახურებისთვის დადგენილგადასახდელიანი პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების დღევანდელი ღირებულების ცვლილებას, რაც გამოწვეულია პროგრამის ცვლილებით (ახალი დადგენილგადასახდელიანი პროგრამის შემოღება, ან არსებულის გაუქმება ან შეცვლა), ან შეკვეცით (საწარმოს მიერ პროგრამის წევრთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება); და</p> <p>გ) პროგრამის საბოლოო ანგარიშსწორებისას წარმოქმნილ შემოსულობას, ან ზარალს.</p>	ბასს 19
მომხმარებელი	<p>მხარე, რომელსაც საწარმოსთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ანაზღაურების სანაცვლოდ ისეთი საქონლის ან მომსახურების მიღებაზე, რომელიც წარმოადგენს საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგს.</p>	ფასს 15
მოსალოდნელი	<p>უფრო შესაძლო, ვიდრე არა.</p>	ფასს 5
მოსალოდნელი ფულადი ნაკადი	<p>მომავალი შესაძლო ფულადი ნაკადების ალბათობებით შეწონილი საშუალო (ე.ი. განაწილების საშუალო).</p>	ფასს 13
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	<p>საკრედიტო ზარალის (დანაკარგების) საშუალო შეწონილი სიდიდე, სადაც წონებად გამოიყენება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკები.</p>	ფასს 9
მყარი ვალდებულება (დაპირება)	<p>მზოჭავი ხელშეკრულება დადგენილი რაოდენობის რესურსების, დადგენილი ფასით გაცვლის შესახებ დადგენილი მომავალი თარიღისთვის ან თარიღებისათვის.</p>	ფასს 9 ბასს 39
მყიდველი საწარმო	<p>სამეურნეო ერთეული, რომელიც კონტროლს იღებს შეძენილ საწარმოზე.</p>	ფასს 3
მშობელი საწარმო	<p>საწარმო, რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს.</p>	ფასს 10

ნ

ნაპატიები სესხები	სესხები, რომელთა დაბრუნების მოთხოვნის უფლებაზე სესხის გამცემი ნებაყოფლობით ამბობს უარს, გარკვეული, ადრე შეთანხმებული პირობების თანახმად.	ბასს 20
ნარჩენი ღირებულების გარანტია	გარანტია, რომელსაც მეიჯარეს აძლევს მეიჯარესთან არადაკავშირებული მხარე იმის შესახებ, რომ იჯარის დასრულებისას საიჯარო აქტივის ღირებულება (ან ღირებულების ნაწილი) იქნება სულ მცირე მითითებული სიდიდის მაინც.	ფასს 16
ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები	საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომელსაც საწარმო ეწევა ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებით.	ბასს 23
ნაყოფის მიღება	ბიოლოგიური აქტივიდან პროდუქციის მოცილება ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტა.	ბასს 41
ნაყოფის მომცემი კულტურა	ცოცხალი მცენარე:	ბასს 16
	ა) რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, ან მისაღებად (მისაწოდებლად);	ბასს 41
	ბ) მოსალოდნელია, რომ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოიწევეს ნაყოფს; და	
	გ) მცირე სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით მისი გაყიდვის ალბათობა, ნარჩენების სახით თანმდევი გაყიდვების გარდა.	
ნებაყოფლობითი ოპერაცია	ოპერაცია, რომელიც ბაზარზე განხორციელდა შეფასების თარიღამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომელიც ამგვარი აქტივებისა და ვალდებულებებით ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო ტიპური და საყოველთაოდ მიღებული მარკეტინგული ღონისძიებების გატარების საშუალებას იძლევა; ეს არ არის ძალდატანებითი ოპერაცია (მაგალითად, ძალდატანებითი ლიკვიდაცია, ან იძულებითი გაყიდვა).	ფასს 13
ნეტო საიჯარო ინვესტიცია	მთლიანი საიჯარო ინვესტიცია, რომელიც დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით.	ფასს 16
ნეტო (წმინდა) გასაყიდი ღირებულება	ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.	ბასს 2
ნეტო ინვესტიცია უცხოურ ქვედანაყოფში	აღნიშნავს ანგარიშვალდებული საწარმოს წილის სიდიდეს უცხოური ქვედანაყოფის ნეტო აქტივებში.	ბასს 21

ო

ოფციონები, ვარანტები და მათი ეკვივალენტები	ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც მის მესაკუთრეს ჩვეულებრივი აქციების შესყიდვის უფლებას აძლევს.	ბასს 33
ოფციონის განმეორებით გამოყოფის უფლება	სახელშეკრულებო პირობა, რომელიც უზრუნველყოფს დამატებითი აქციის ოფციონების ავტომატურად გამოყოფას იმ შემთხვევაში, როდესაც ოფციონის მფლობელი ადრე გამოყოფილ ოფციონებს გამოიყენებს და ოფციონის გამოსაყენებელი ფასის დასაფარად საწარმო აქციებს იყენებს და არა ფულად სახსრებს.	ფასს 2

პ

პირველი დონის ამოსავალი მონაცემები	იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის.	ფასს 13
---	---	---------

პირობითი აქტივი	შესაძლო აქტივი, რომელიც წარმოიქმნება ადრე მომხდარი მოვლენის შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს.	ბასს 37
პირობითი ვალდებულება	<p>ა) შესაძლო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს; ან</p> <p>ბ) მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან:</p> <p>(i) მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განითვლებული რესურსების გასვლა; ან</p> <p>(ii) ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.</p>	ბასს 37
პირობითი კომპენსაცია	ჩვეულებრივ აღნიშნავს მყიდველი საწარმოს ვალდებულებას, გადასცეს დამატებითი აქტივები ან სააქციო წილი შეძენილი საწარმოს ყოფილ მესაკუთრეებს, როგორც შეძენილ საწარმოზე კონტროლის აღებისთვის განხორციელებული გაცვლის ნაწილი, თუ მომავალში გარკვეული მოვლენები მოხდება, ან გარკვეული პირობები შესრულდება. ამასთან, პირობითმა კომპენსაციამ შეიძლება მყიდველ საწარმოს ადრე გაცემული კომპენსაციის დაბრუნების უფლებაც მისცეს, თუ დათქმული პირობები შესრულდება.	ფასს 3
პირობითი სააქციო შეთანხმება	შეთანხმება, წინასწარ დადგენილი პირობების დაკმაყოფილებაზე დამოკიდებული აქციების გამოშვებაზე.	ბასს 33
პირობით გამოსაშვები ჩვეულებრივი აქციები	ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც გამოშვებას ექვემდებარება პირობითი სააქციო შეთანხმებით დადგენილი პირობების დაკმაყოფილებისას, ძალიან დაბალი ანაზღაურების პირობით ან ფულადი ანაზღაურების გარეშე, ან რაიმე სხვა სახის ანაზღაურების პირობით.	ბასს 33
პირის ოჯახის წევრები	<p>ოჯახის ის წევრები, რომლებსაც, სავარაუდოდ, შეუძლიათ გავლენის მოხდენა პირზე, ან შეიძლება თავად მოექცნენ ამ პიროვნების გავლენის ქვეშ საწარმოსთან ოპერაციების წარმოებისას, მათ შორის:</p> <p>ა) პიროვნების შვილები და მეუღლე, ან არაოფიციალური მეუღლე;</p> <p>ბ) პიროვნების მეუღლის, ან არაოფიციალური მეუღლის შვილები; და</p> <p>გ) ამ პიროვნების, ან მისი მეუღლის, ან არაოფიციალური მეუღლის კმაყოფაზე მყოფი პიროვნებები.</p>	ბასს 24
პოლისის მფლობელი	მხარე, რომელსაც აქვს კომპენსაციის მიღების უფლება სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად, თუ სადაზღვევო შემთხვევა მოხდება	ფასს 4
პოტენციური ჩვეულებრივი აქცია	ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვა სახის ხელშეკრულება, რომელმაც შესაძლოა მის მფლობელს ჩვეულებრივი აქციების ფლობის უფლება მისცეს.	ბასს 33
პროგნოზირებული გარიგება	არშემდგარი (არასავალდებულო), მაგრამ მოსალოდნელი მომავალი გარიგება.	ფასს 9 ბასს 39
პროგრამის აქტივები	<p>ა) დაქირავებულ პირთა გრძელვადიანი გასამრჯელოების ფონდის მფლობელობაში არსებული აქტივები; და</p> <p>ბ) მაკვალიფიცირებელ სადაზღვევო პოლისებს.</p>	ბასს 19
პროგრამის აქტივის ზღვრული სიდიდე	იმ ეკონომიკური სარგებლის დღევანდელი ღირებულება, რომელსაც საწარმო იღებს პროგრამიდან სახსრების უკან დაბრუნების ფორმით, ან მომავალში პროგრამაში გადასარიცხი შენატანების შემცირების სახით.	ბასს 19

რ

რეალური ღირებულება	რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს შეფასების თარიღისთვის.	ფასს 1 ფასს 3 ფასს 4 ფასს 5 ფასს 9 ფასს 13 ბასს 2 ბასს 16 ბასს 19 ბასს 20 ბასს 21 ბასს 32 ბასს 36 ბასს 38 ბასს 40 ბასს 41
რეალური ღირებულება	თანხა, რომლითაც აქტივი შეიძლება გაიცვალოს, ვალდებულება დაიფაროს, ან გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტი გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის, „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში.	ფასს 2
რეალური ღირებულება	მეიჯარის მიერ ფასს 16-ის საადრიცხვო მოთხოვნების გამოყენების მიზნებისთვის - თანხა რომლითაც აქტივი შეიძლება გაიცვალოს, ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე, გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში.	ფასს 16
რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით	ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს: ა) აკმაყოფილებს სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ვალდებულების განმარტებას; ბ) თავდაპირველი აღიარებისას, საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფასს 9-ის 4.2.2 ან 4.3.5 პუნქტების შესაბამისად; გ) ფასს 9-ის 6.7.1 პუნქტის შესაბამისად, იგი თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომში, საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.	ფასს 9
რელევანტური საქმიანობები	ფასს 10-ის მიზნებისთვის, რელევანტური საქმიანობები აღნიშნავს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე.	ფასს 10
რეკლასიფიკაციის კორექტირებები	თანხები, რომლებიც ახალი კლასიფიკაციით მიმდინარე პერიოდში ტანილია მოგებაში ან ზარალში და მანამდე, მიმდინარე ან წინა ოდებში, აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში.	ბასს 1
რეკლასიფიცირების თარიღი	პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველი დღე, რომელიც მოჰყვება ბიზნესმოდელის იმგვარად შეცვლას, რის შედეგადაც საწარმოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირებას აიძულებს.	ფასს 9
რესტრუქტურირაცია	საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი და კონტროლირებადი პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის: ა) საწარმოს საქმიანობის მასშტაბს; ან ბ) საქმიანობის წარმართვის ხერხებს.	ბასს 37

რეტროსპექტულად გამოყენება	ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის იმდაგვარი გამოყენება ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების მიმართ, თითქოს ეს პოლიტიკა ყოველთვის გამოიყენებოდა.	ბასს 8
რეტროსპექტულად გადაანგარიშება	ფინანსური ანგარიშგების ელემენტების თანხების აღიარების, შეფასებისა და განმარტებების გასწორება იმგვარად, თითქოს წინა პერიოდში შეცდომა არასოდეს დაშვებულა.	ბასს 8
რისკის პრემია	კომპენსაცია, რომელსაც მოითხოვენ რისკის მოწინააღმდეგე ბაზრის მონაწილეები აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობით განპირობებული რისკის თავის თავზე აღების გამო. ასევე უწოდებენ „კორექტირებას რისკის გათვალისწინებით“.	ფასს 13

ს

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც ხდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ნებადართულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.	ბასს 10
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მკორექტირებელი მოვლენები	მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებზე.	ბასს 10
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამკორექტირებელი მოვლენები	მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რაც შეიძლება წარმოიშვას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში.	ბასს 10
სააქციო წილი	ფასს 3-ის მიზნებისათვის სააქციო წილი ფართო მნიშვნელობით გამოიყენება, რაც აღნიშნავს საკუთრების წილს ინვესტორის საკუთრებაში მყოფ სამეურნეო ერთეულში და მესაკუთრეთა, წევრთა ან მონაწილეთა წილებს – ერთობლივ სამეურნეო ერთეულებში.	ფასს 3
სააღრიცხვო ერთეული	აქტივის ან ვალდებულების აგრეგირების ან დეზაგრეგირების აუცილებელი დონე, ფასს სტანდარტების შესაბამისად მისი აღიარების მიზნებისთვის.	ფასს 13
სააღრიცხვო მოგება	საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის თანხა საგადასახადო ხარჯის გამოქვითვამდე.	ბასს 12
სააღრიცხვო პოლიტიკა	გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.	ბასს 8
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების პერსპექტიულად გამოყენება და სააღრიცხვო შეფასებაში შეტანილი ცვლილებების ეფექტის აღიარება	ა) ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებას ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების მიმართ იმ თარიღის შემდეგ, როცა სააღრიცხვო პოლიტიკა შეიცვალა; და ბ) სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების ეფექტის აღიარებას მიმდინარე და იმ მომავალ პერიოდებში, რომლებიც ამ ცვლილების გავლენას განიცდიან.	ბასს 8
სააღრიცხვო შეფასების ცვლილება	აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში შესწორება, ან აქტივის პერიოდული გამოყენების თანხა, რომელიც გამომდინარეობს მისი მიმდინარე სტატუსიდან, ან აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან ვალდებულების შეფასებიდან. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია ახალი ინფორმაციით ან ახალი მოვლენებით, შესაბამისად, არ წარმოადგენს შეცდომების გასწორებას.	ბასს 8
საბაზრო მიდგომა	შეფასების მეთოდი, რომელშიც გამოიყენება ისეთი ფასები და სხვა შესაფერისი ინფორმაცია, რომელიც მიღებულია იდენტური, ან შესადარისი (ე.ი. ანალოგიური) აქტივების, ვალდებულებების, ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფით (როგორცაა საწარმო) შესრულებული საბაზრო ოპერაციებიდან.	ფასს 13

საბაზრო ინფორმაციით დადასტურებული ამოსავალი მონაცემები	ამოსავალი მონაცემები, რომლებიც, ძირითადად, მიიღება ემპირიული საბაზრო მონაცემებიდან, ან დასტურდება ემპირიული საბაზრო მონაცემებით, კორელაციით, ან სხვა საშუალებით.	ფასს 13
საბაზრო რისკი	რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო ფასების ცვლილებების ზემოქმედებით. საბაზრო რისკი სამი ტიპის რისკისაგან შედგება: სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და სხვა ფასების რისკი.	ფასს 7
საბაზრო პირობა	საქმიანობის პირობა, რომელზეც დამოკიდებულია წილობრივი ინსტრუმენტის გამოსაყენებელი ფასი, მასზე უფლების გადაცემა ან მისი გამოყენებადობა და დაკავშირებულია საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების (ან იმავე ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების) საბაზრო ფასთან (ან ღირებულებასთან), როგორცაა, მაგალითად: ა) აქციის ოფციონის საკუთარი ღირებულების დათქმული ოდენობის, ან აქციის ფასის დათქმული სიდიდის მიღწევა; ან ბ) გარკვეული მიზნის მიღწევა, რომელიც დაფუძნებულია საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების (ან იმავე ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების) საბაზრო ფასისა (ან ღირებულების) და სხვა საწარმოთა წილობრივი ინსტრუმენტების საბაზრო ფასების ინდექსის თანაფარდობაზე.	ფასს 2
საბალანსო ღირებულება	საბაზრო პირობა მოითხოვს, რომ, მეორე მხარე, წინასწარდადგენილი პერიოდის განმავლობაში, ემსახუროს საწარმოს (ე.ი. შეასრულოს მომსახურების ვადის პირობა); მომსახურების მოთხოვნა შეიძლება აშკარად იყოს გამოხატული, ან არაპირდაპირ, ნაგულისხმევი იყოს.	ბასს 16 ბასს 36 ბასს 40 ბასს 41
საბოლოო ანგარიშსწორება	თანხა, რომლითაც აქტივი აღიარებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლების შემდეგ.	ბასს 19
საბოლოო სავალუტო კურსი	ოპერაცია, რომელიც აუქმებს დადგენილგადასახდელიანი პროგრამით გათვალისწინებულ ყველა გასამრჯელოსთან, ან გასამრჯელოების ნაწილთან დაკავშირებულ ყველა სხვა იურიდიულ თუ კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც არ გულისხმობს დაქირავებულ პირთათვის ან მათი სახელით პროგრამის პირობებით გათვალისწინებული გასამრჯელოების გადახდას, რომლებიც აქტუარულ დაშვებებში აისახება.	ბასს 21
საგადასახადო (დასაბეგრი) მოგება (საგადასახადო ზარალი)	საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ სავალუტო კურსი.	ბასს 12
საგადასახადო ხარჯი (საგადასახადო შემოსავალი)	შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის მარეგულირებელი წესებით განსაზღვრული საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი), რომლის მიხედვითაც ხდება გადასახადის გადახდა (დაბრუნება).	ბასს 12
სადაზღვევო აქტივი	საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის განსაზღვრისას გამოყენებული მიმდინარე და გადავადებული გადასახადების მთლიანი თანხა.	ფასს 4
სადაზღვევო ხელშეკრულება	მზღვეველის ნეტო სახელშეკრულებო უფლებები, სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად. ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ერთი მხარე (მზღვეველი) თავის თავზე იღებს მეორე მხარის (პოლისის მფლობელის) მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, შეთანხმების თანახმად, კომპენსაცია გადაუხადოს პოლისის მფლობელს, თუ ესა თუ ის კონკრეტული განუსაზღვრელი მოვლენა (სადაზღვევო შემთხვევა) უარყოფითად იმოქმედებს პოლისის მფლობელზე (მოცემულ განმარტებაზე მითითებების გასაცნობად იხ. დანართი (ბ)).	ფასს 4

სადაზღვევო ვალდებულება	მზღვეველის ნეტო სახელშეკრულებო ვალდებულებები სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით.	ფასს 4
სადაზღვევო რისკი	რისკი, ფინანსური რისკის გარდა, რომელიც ხელშეკრულების მფლობელისაგან გადაეცემა ხელშეკრულების გამცემს.	ფასს 4
სადაზღვევო შემთხვევა	მომავალი განუსაზღვრელი მოვლენა, რომელსაც მოიცავს სადაზღვევო ხელშეკრულება და რომელიც წარმოქმნის სადაზღვევო რისკს.	ფასს 4
საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება	ფინანსური ანგარიშგება, რომელიც განკუთვნილია იმ მომხმარებელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც მდგომარეობა არ აძლევს იმის საშუალებას, რომ საწარმოს მოსთხოვონ მათ საკუთარ საინფორმაციო მოთხოვნილებებზე მორგებული ანგარიშების მომზადება.	ბასს 1
სავალუტო კურსი	ორი ვალუტის გასაცვლელი კოეფიციენტი.	ბასს 21
სავალუტო რისკი	რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას სავალუტო კურსის ცვლილებების ზემოქმედებით.	ფასს 7
სავაჭროდ გამიზნული	ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება, რომელიც: ა) შექმნილია ან აღებულია მხოლოდ უახლოეს ვადებში გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით; ბ) თავდაპირველი აღიარებისას გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომლებიც ერთად იმართება და რომლისთვისაც უახლოეს წარსულში მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს; ან გ) წარმოებული ინსტრუმენტია (ისეთი წარმოებული ინსტრუმენტების გარდა, რომელიც არის ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება, ან საწარმოს მიერ არის კლასიფიცირებული და ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტია).	ფასს 9
საინვესტიციო საქმიანობა	გრძელვადიანი აქტივებისა და იმ სხვა ინვესტიციათა შექმნა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები.	ბასს 7
საინვესტიციო ქონება	ქონება (მიწა ან შენობა, ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლების ფორმით) საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორცაა: ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ბ) გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.	ბასს 40
საინვესტიციო საწარმო	საწარმო, რომელიც: ა) სახსრებს მოიპოვებს ერთი ან მეტი ინვესტორისგან, რათა ამ ინვესტორ(ებ)ს გაუწიოს ინვესტიციების მართვის მომსახურება; ბ) იღებს ვალდებულებას თავისი ინვესტორ(ებ)ის წინაშე, რომ მისი საქმიანობის მიზანია, სახსრები დააბანდოს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ შემოსავალი მიიღოს კაპიტალის ღირებულების ზრდის შედეგად, საინვესტიციო შემოსავლის სახით, ან ორივე გზით; და გ) ფაქტობრივად, ყველა თავისი ინვესტიციის შედეგებს ზომავს და აფასებს რეალური ღირებულების საფუძველზე.	ფასს 10
საიჯარო აქტივი	აქტივი, რომელიც იჯარის საგანია და რომლის გამოყენების უფლება მეიჯარემ გადასცა მოიჯარეს.	ფასს 16

საიჯარო გადახდები	<p>მოიჯარის მიერ მეიჯარისთვის განხორციელებული გადახდები, რომლებიც დაკავშირებულია იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან და მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), იჯარის წამახალისებელი გადახდების გამოკლებით; ბ) ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც დამოკიდებულია რაიმე ინდექსზე ან განაკვეთზე; გ) შესყიდვის არჩევანის უფლების გამოყენების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და დ) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის განხორციელებულ ჯარიმების გადახდებს, თუ იჯარის ვადაში გათვალისწინებულია, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. <p>მოიჯარისთვის საიჯარო გადახდები ასევე მოიცავს თანხებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გადასახდელი ექნება მოიჯარეს ნარჩენი ღირებულების გარანტიების შესაბამისად. საიჯარო გადახდები არ მოიცავს ხელშეკრულების არასაიჯარო კომპონენტებზე მიკუთვნებულ გადახდებს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მოიჯარე გადაწყვეტს არასაიჯარო კომპონენტების გაერთიანებას საიჯარო კომპონენტთან და მათ აღრიცხავს, როგორც ერთ საიჯარო კომპონენტს.</p> <p>მეიჯარისთვის საიჯარო გადახდები ასევე მოიცავს ნებისმიერი ნარჩენი ღირებულების გარანტიებს, რომელიც მეიჯარისთვის გარანტირებულია მოიჯარის მიერ, მოიჯარესთან დაკავშირებული მხარის მიერ, ან მეიჯარესთან არადაკავშირებული მესამე მხარის მიერ, რომელსაც ფინანსურად შეუძლია საგარანტიო ვალდებულების შესრულება. საიჯარო გადახდები არ მოიცავს ხელშეკრულების არასაიჯარო კომპონენტებზე მიკუთვნებულ გადახდებს.</p>	ფასს 16
საკრედიტო რისკი	<p>რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს.</p>	ფასს 7
საკრედიტო რისკის რეიტინგის საფეხურები	<p>საკრედიტო რისკის რანგის (კლასის) შეფასება, რომელიც ეყრდნობა იმის რისკს, რომ დადგება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ფაქტი.</p>	ფასს 7
საკრედიტო ზარალი	<p>სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოს მიერ მისაღებ ყველა სახელშეკრულებო ფულად ნაკადსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც საწარმო ვარაუდობს (ე.ი. ფულადი სახსრების დეფიციტი მთლიანად), რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან, შექმნილი ან შექმნილი ფინანსური აქტივებისთვის - საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით).</p>	ფასს 9
საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	<p>განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებამდე, რომელიც არის შექმნილი ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივი.</p>	ფასს 9
(საკრედიტო რისკით) გაუფასურებული ფინანსური აქტივი	<p>ფინანსური აქტივი მიიჩნევა (საკრედიტო რისკით) გაუფასურებულ ფინანსურ აქტივად, თუ მომხდარია ერთი ან მეტი ისეთი მოვლენა, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაზე.</p>	ფასს 9

საკუთარი ღირებულება	სხვაობა აქციების, რომლებზეც მეორე მხარეს (პირობითი ან უპირობო) ხელმოწერის, ან მიღების უფლება აქვს, რეალურ ღირებულებასა და იმ ფასს (თუ ასეთი არსებობს) შორის, რომელიც მეორე მხარემ უნდა გადაიხადოს (ან მომავალში მოეთხოვება, რომ გადაიხადოს) ამ აქციებისათვის.	ფასს 2
საკურსო სხვაობა	სხვაობა, რომელიც წარმოიშობა ერთი და იმავე რაოდენობის უცხოური სავალუტო ერთეულის სხვა ვალუტაში გადაყვანის დროს, განსხვავებული გასაცვლელი სავალუტო კურსების გამოყენების შედეგად.	ბასს 21
სამუშაო ვალუტა	იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას.	ბასს 21
საოპერაციო საქმიანობა	საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი და სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა.	ბასს 7
საოპერაციო დანახარჯები	<p>მოცემული აქტივის ან ვალდებულების ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე აქტივის გაყიდვის, ან ვალდებულების გადაცემისთვის საჭირო დანახარჯები, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის გასვლის, ან გადაცემის პროცესთან და აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:</p> <p>ა) წარმოიშობა უშუალოდ მოცემული ოპერაციიდან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;</p> <p>ბ) საწარმოს არ მოუწევდა ამ დანახარჯების გაწევა, თუ არ გადაწყვეტდა მოცემული აქტივის გაყიდვას, ან მოცემული ვალდებულების გადაცემას (გაყიდვის დანახარჯების ანალოგიურად, როგორც ეს განმარტებულია ფასს 5-ში).</p>	ფასს 13
საოპერაციო იჯარა	ისეთი ტიპის იჯარა, რომლის მეშვეობით არ ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა.	ფასს 16
საფინანსო საქმიანობა	საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები სახსრები.	ბასს 7
საოპერაციო სეგმენტი	<p>საწარმოს კომპონენტი:</p> <p>ა) რომელსაც უკავია ბიზნესის ისეთი ნაწილი, სადაც ეწევა ხარჯებს და შესაძლებელია ამონაგების მიღება (იმ ამონაგებისა და ხარჯების ჩათვლით, რომელიც დაკავშირებულია იმავე საწარმოს სხვა კომპონენტებთან);</p> <p>ბ) რომლის საოპერაციო შედეგებს რეგულარულად იხილავს საწარმოში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი, ამ სეგმენტზე რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და მისი საქმიანობის შედეგების შესაფასებლად; და</p> <p>გ) რომლის შესახებაც არსებობს განცალკევებული ფინანსური ინფორმაცია.</p>	ფასს 8
საპენსიო პროგრამა	შეთანხმება, რომლის თანახმად საწარმო უზრუნველყოფს თავის დაქირავებულ პირთა დახმარებას სამსახურის დამთავრებისთანავე ან სამსახურის შეწყვეტის შემდეგ (ყოველწლიური შემოსავლის ან ერთჯერადი გასამრჯელოს სახით), როდესაც ასეთი გასამრჯელოები, ისევე როგორც შენატანები პროგრამაში, შეიძლება განისაზღვროს ან შეფასდეს წინასწარ, პენსიაზე გასვლამდე, რომელიმე დოკუმენტის ან საწარმოში დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე.	ბასს 26
საპენსიო პროგრამის დაფინანსება	ნიშნავს დამქირავებლის საწარმოს მიერ აქტივების გადაცემას ეკონომიკური ერთეულისათვის (ფონდისათვის), საწარმოს მომავალი საპენსიო ვალდებულებების შესრულების მიზნით.	ბასს 26

საპენსიო პროგრამის მონაწილეები	საპენსიო პროგრამების წევრები და სხვა პირები, რომელთაც პროგრამის შესაბამისად საპენსიო გასამრჯელოების მიღების უფლება აქვთ.	ბასს 26
საპენსიო გასამრჯელოებისთვის განკუთვნილი წმინდა აქტივები	პროგრამის აქტივები, საიდანაც გამოქვითულია ნებისმიერი ვალდებულება, გარდა შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარული დღევანდელი ღირებულებისა.	ბასს 26
სასესხო ვალდებულება	ნებისმიერი სახის ფინანსური ვალდებულება, გარდა სტანდარტული პირობებით საქონლის კრედიტით გაყიდვის დროს წარმოშობილი მოკლევადიანი სავაჭრო დავალიანებისა.	ფასს 7
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	საწარმოს მიერ ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციისა და ნაყოფის მიღების მართვა გაყიდვის მიზნით, ან სოფლის მეურნეობის პროდუქციად ან დამატებით ბიოლოგიურ აქტივებად გარდაქმნის მიზნით.	ბასს 41
სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობა	საწარმოს საქმიანობის სახე, რომელიც ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას.	ფასს 14
სატარიფო რეგულირება	ფასების დადგენის რეჟიმი, რომლის დაწესებაც შეუძლია საწარმოს მომხმარებლებისთვის მიწოდებულ საქონელზე ან მომსახურებაზე, თუ ამ რეჟიმს ზედამხედველობას უწევს ან/და ამტკიცებს ტარიფების მარეგულირებელი ორგანო.	ფასს 14
საქმიანობის პირობა	<p>უფლების გადაცემის პირობა, რომელიც მოითხოვს, რომ:</p> <p>ა) მეორე მხარე წინასწარდადგენილი პერიოდის განმავლობაში ემსახუროს საწარმოს (ე.ი. შეასრულოს მომსახურების ვადის პირობა); მომსახურების მოთხოვნა შეიძლება აშკარად იყოს გამოხატული, ან არაპირდაპირ, ნაგულისხმევი იყოს; და</p> <p>ბ) მიღწეულ იქნეს საქმიანობის წინასწარდადგენილი საკონტროლო მაჩვენებელი (მაჩვენებლები), როდესაც მეორე მხარე გასწევს (ა) პუნქტით მოთხოვნილ მომსახურებას.</p> <p>საქმიანობის საკონტროლო მაჩვენებელი შეიძლება დაკავშირებული იყოს მთელი საწარმოს, ან საწარმოს (ან ჯგუფის) გარკვეული ნაწილის საქმიანობის შედეგებთან, როგორცაა, მაგალითად რომელიმე ქვედანაყოფი, ან ინდივიდუალური დაქირავებული პირი.</p>	ფასს 2
საწარმო	საქმიანობებისა და აქტივების ურთიერთდაკავშირებული კომპლექსი, რომლის ფუნქციონირება და მართვა ხდება იმ მიზნით, რომ უშუალოდ ინვესტორებმა ან სხვა მესაკუთრეებმა, წევრებმა ან მონაწილეებმა მიიღონ შემოსავლები დივიდენდების, დანახარჯების შემცირების ან სხვა სახის ეკონომიკური სარგებლის სახით.	ფასს 3
საწარმოსათვის სპეციფიკური ღირებულება	იმ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, რომლის მიღებასაც საწარმო ვარაუდობს აქტივის უწყვეტი გამოყენებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს საწარმოდან მისი გასვლის შედეგად, ან რომლის გადახდასაც ვარაუდობს ვალდებულების დასაფარად.	ბასს 16 ბასს 38
საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს	საწარმო, რომელიც წარადგენს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.	ფასს 1 ფასს 14
საწარმოთა გაერთიანება	სამეურნეო ოპერაცია ან სხვა მოვლენა, რომლის დროსაც მყიდველი საწარმო კონტროლს იღებს ერთ ან მეტ საწარმოზე. სამეურნეო ოპერაციები, რომლებსაც ზოგჯერ „ფაქტობრივ შერწყმას“ ან „თანასწორთა შერწყმას“ უწოდებენ, ასევე წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებას იმ გაგებით, რა მნიშვნელობითაც ეს ტერმინი მოცემულ სტანდარტში გამოიყენება.	ფასს 3

საწარმოს კომპონენტი	ოპერაციები და ფულადი ნაკადები, რომელთა ნათლად გამიჯვნა ოპერაციულად ან ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, შესაძლებელია საწარმოს სხვა შემადგენელი ნაწილებისაგან.	ფასს 5
სახელმწიფო	გულისხმობს მთავრობას, სახელმწიფო უწყებებს და ანალოგიურ ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებს.	ბასს 20 ბასს 24
სახელმწიფოსთან დაკავშირებული საწარმო	საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს სახელმწიფო, ან, რომელზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სახელმწიფოს.	ბასს 24
სახელმწიფო დახმარება	სახელმწიფოს ქმედება, რომელიც გულისხმობს რომელიმე კონკრეტული საწარმოს ან საწარმოთა ჯგუფისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევას, სათანადო კრიტერიუმების გათვალისწინებით. სახელმწიფო დახმარება მოცემული სტანდარტის მიხედვით არ მოიცავს საწარმოთათვის სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა ფორმით გაწეულ არაპირდაპირ დახმარებას ტარიფებისა და კვოტების შემცირების, განვითარებად რეგიონებში ინფრასტრუქტურის შექმნისა და კონკურენტების სხვადასხვა შემზღუდავი ღონისძიებების სახით.	ბასს 20
სახელმწიფო გრანტები	სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ. აქ არ იგულისხმება ისეთი ტიპის სახელმწიფო დახმარებები, რომელთა ღირებულების დასაბუთებული განსაზღვრა შეუძლებელია, აგრეთვე სახელმწიფოსთან დადებული ისეთი გარიგებები, რომლებიც არ განსხვავდება საწარმოს ჩვეულებრივი კომერციული გარიგებებისაგან.	ბასს 20
სახელშეკრულებო აქტივი	საწარმოს მიერ მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მოპოვებული უფლება ანაზღაურებაზე, როდესაც ეს უფლება დამოკიდებულია დროის გარკვეული პერიოდის გასვლის გარდა სხვა რამეზე (მაგალითად, საწარმოს სამომავლო საქმიანობის შედეგებზე).	ფასს 15
სახელშეკრულებო აქტივები	უფლებები, რომლებიც ფასს 15-ის - „ <i>ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან</i> “ - მოთხოვნების თანახმად, ფასს 9-ის შესაბამისად აღირიცხება, გაუფასურების შემოსულობის ან ზარალის აღიარებისა და შეფასების მიზნებისთვის.	ფასს 9
სახელშეკრულებო ვალდებულება	საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).	ფასს 15
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	საწარმოს ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული პროდუქცია.	ბასს 41
სავალუტო კურსი	სავალუტო კურსი დაუყოვნებლივი მიწოდებისათვის.	ბასს 21
სტრუქტურულიზებული საწარმო	საწარმო, რომელიც ორგანიზებული იყო იმგვარად, რომ ხმის უფლებები, ან სხვა ანალოგიური უფლებები გადამწყვეტ ფაქტორს არ წარმოადგენს იმის დადგენაში, ვინ აკონტროლებს საწარმოს, მაგალითად, როდესაც ხმის უფლებები დაკავშირებულია მხოლოდ ადმინისტრაციულ ამოცანებთან, ხოლო რელევანტური საქმიანობების მართვა ხორციელდება სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე.	ფასს 12
სხვა საწარმოში მონაწილეობა	ფასს 12-ის მიზნებისთვის, სხვა საწარმოში მონაწილეობა გულისხმობს ნებისმიერი სახის მონაწილეობას, ხელშეკრულებით იქნება ეს გათვალისწინებული, თუ არა, რომელიც საწარმოს დაქვემდებარებულს ხდის სხვა საწარმოს საქმიანობიდან ცვალებადი ხასიათის შემოსავლების მიღების რისკზე. სხვა საწარმოში მონაწილეობა, სხვასთან ერთად, შეიძლება დადასტურდეს წილობრივი, ან სავალო ფინანსური ინსტრუმენტების ფლობით, ასევე სხვა ფორმის მონაწილეობით, როგო-	ფასს 12

რიცაა დაფინანსება, ლიკვიდობის უზრუნველყოფაში დახმარება, საკრედიტო რეიტინგის ამაღლებაში დახმარება და გარანტიების გაცემა. იგი მოიცავს კონკრეტულ საშუალებებს, რომლის მეშვეობითაც საწარმო ახორციელებს კონტროლს, ან ერთობლივ კონტროლს, ან მნიშვნელოვან გავლენას სხვა საწარმოზე. მხოლოდ „მომხმარებელი-მომწოდებელი“ ტიპური ურთიერთობის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ საწარმო მონაწილეობს სხვა საწარმოში.

სხვა სრული შემოსავალი

შედგება შემოსავლებისა და ხარჯების იმ ელემენტებისაგან (მათ შორის, რეკლასიფიკაციით გამოწვეული კორექტირებებისგან), რომლებიც აღიარებული არ არის მოგებაში ან ზარალში, როგორც მოითხოვება ან დაშვებულია სხვა ფასს სტანდარტებით.

ბასს 1

სხვა ფასების რისკი

რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო ფასების ცვლილებების ზემოქმედებით (გარდა საპროცენტო განაკვეთის რისკით ან სავალუტო რისკით გამოწვეული ცვლილებებისა), იმის მიუხედავად, რა იწვევს ამ ცვლილებებს - ინდივიდუალური ფინანსური ინსტრუმენტისთვის ან მისი ემიტენტისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები, თუ სხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ბაზარზე მიმოქცევად ყველა მსგავს ფინანსურ ინსტრუმენტზე.

ფასს 7

ტ

ტარიფების მარეგულირებელი ორგანო

უფლებამოსილი ორგანო, რომელსაც კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით მინიჭებული აქვს ტარიფის ან ტარიფების დიაპაზონის დადგენის უფლებამოსილება, რომელიც ზღუდავს საწარმოს. ტარიფების მარეგულირებელი ორგანო საწარმოსთან მიმართებაში შეიძლება იყოს მესამე მხარე, ან დაკავშირებული მხარე, მათ შორის საწარმოს საკუთარი მმართველი ორგანო, თუ ამ ორგანოს კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით ევალება ტარიფების დადგენა, როგორც მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით, ასევე საწარმოს საერთო ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

ფასს 14

ტრანსპორტირების დანახარჯები

დანახარჯები, რომლის გაწევაც აუცილებელი იქნება აქტივის ტრანსპორტირებისთვის მისი მოცემული ადგილსამყოფელიდან ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზრამდე.

ფასს 13

უ

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა

ის პიროვნებები, მათ შორის ნებისმიერი დირექტორი (აღმასრულებელი ან სხვა ფუნქციის შემსრულებელი), რომლებსაც მინიჭებული აქვთ საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლისათვის აუცილებელი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, პირდაპირ ან არაპირდაპირ.

ბასს 24

უფლებამოსილება

ძალაში შესული (მოქმედი) უფლებები, რომლებიც მოცემულ მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას იძლევა.

ფასს 10

უფლების გადაცემის პირობა

პირობა, რომლებიც განსაზღვრავს, მიიღებს თუ არა საწარმო იმ მომსახურებას, რომელიც მეორე მხარეს უფლებამოსილს ხდის საწარმოს ფულადი სახსრების, სხვა აქტივების ან წილობრივი ინსტრუმენტების მიღებაზე აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების ფარგლებში. უფლების გადაცემის პირობა ან მომსახურების ვადის პირობაა, ან საქმიანობის პირობა.

ფასს 2

უფლების გადაცემის პერიოდი

პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა დაკმაყოფილდეს აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებით განსაზღვრული, უფლების გადაცემის ყველა პირობა.

ფასს 2

უფლებების გადაცემა	უფლებამოსილად გახდომა. აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებით განსაზღვრული მეორე მხარის უფლება საწარმოს ფულადი სახსრების, სხვა აქტივების ან წილობრივი ინსტრუმენტების მიღებაზე მეორე მხარეს მამინ გადაეცემა, როდესაც მეორე მხარის უფლებამოსილება უკვე აღარ არის შეპირობებული უფლების გადაცემის რომელიმე პირობის შესრულებით.	ფასს 2
უცხოური ვალუტა	აღნიშნავს ყველა სხვა ვალუტას, რომელიც არ წარმოადგენს საწარმოს სამუშაო ვალუტას.	ბასს 21
უცხოური ქვედანაყოფი	ანგარიშვალდებული საწარმოს შვილობილი საწარმო, მეკავშირე საწარმო, ერთობლივი საქმიანობა, ან ფილიალი, რომლის საქმიანობა დაფუძნებულია და ხორციელდება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, ან ანგარიშვალდებული საწარმოს ვალუტისაგან განსხვავებული ვალუტით.	ბასს 21
ფ		
ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღი	ყველაზე ადრინდელი პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც საწარმო წარადგენს სრულყოფილ შესადარის ინფორმაციას ფასს სტანდარტების შესაბამისად, ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში.	ფასს 1
ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება	პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს და ფინანსურ ანგარიშგებას ურთავს აშკარა და უპირობო განცხადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.	ფასს 1 ფასს 14
ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი საანგარიშგებო პერიოდი	ბოლო საანგარიშგებო პერიოდი, რომელსაც მოიცავს საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.	ფასს 1
ფასს სტანდარტების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის.	ფასს 1
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს სტანდარტები)	ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მიღებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები. მოიცავს: ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს; ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს; გ) ინტერპრეტაციებს, რომლებიც შემუშავებულია ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ან ყოფილი ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ.	ფასს 1 ბასს 1 ბასს 8
ფინანსური ინსტრუმენტი	ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.	ბასს 32
ფინანსური აქტივი	ნებისმიერი აქტივი, როგორცაა: ა) ფულადი სახსრები; ბ) სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტი; გ) საწარმოს სახელშეკრულებო უფლება: (i) სხვა საწარმოსაგან მიიღოს ფული ან სხვა ფინანსური აქტივი; ან (ii) მისთვის პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; ან	ბასს 32

- დ) ხელშეკრულება, რომელიც ანაზღაურდება ან შესაძლებელია ანაზღაურდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და წარმოადგენს:
- (i) არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლისთვისაც საწარმო მიიღებს ან შესაძლოა იძულებული იყოს მიიღოს ცვლადი რაოდენობის საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები; ან
 - (ii) წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც ანაზღაურდება ან შეიძლება ანაზღაურდეს ნებისმიერი ფორმით, გარდა დადგენილი ოდენობის ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივების გაცვლით საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებულ რაოდენობაზე. ამ მიზნებისათვის, საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები არ მოიცავს დაბრუნებად ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც წილობრივ ინსტრუმენტებად არის კლასიფიცირებული 32-ის 16ა და 16ბ პუნქტების შესაბამისად, ინსტრუმენტებს, რომლებიც საწარმოს ავალდებულებს, მეორე მხარეს გადასცეს საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი მხოლოდ ლიკვიდაციის შემთხვევაში და კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, 16გ და 16დ პუნქტების შესაბამისად, ან ინსტრუმენტებს, რომლებიც წარმოადგენს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების მისაღებად ან გადასაცემად გაფორმებულ ხელშეკრულებებს.

ფინანსური აქტივის მთლიანი (ზრუტო) საბალანსო ღირებულება

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება, გაუფასურების რეზერვის თანხით კორექტირებამდე.

ფასს 9

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება

ხელშეკრულება, რომელიც მოითხოვს, რომ ემიტენტმა წინასწარ განსაზღვრული თანხები გადაუხადოს მფლობელს იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელსაც მიიღებს იმის გამო, რომ გარკვეულმა დებიტორმა, სავალო ინსტრუმენტისთვის თავდაპირველად დადგენილი ან შეცვლილი პირობების შესაბამისად, დროულად ვერ გადაუხადა ვალი.

ფასს 4

ფასს 9

ფინანსური ვალდებულება

ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც არის:

ბასს 32

ა) საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება:

- (i) სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები; ან
- (ii) მისთვის პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; ან

ბ) ხელშეკრულება, რომელიც დაიფარება ან შესაძლებელია დაიფაროს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და წარმოადგენს:

- (i) არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლისთვისაც საწარმო გადასცემს ან შესაძლოა იძულებული იყოს გადასცეს ცვლადი რაოდენობის საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები; ან
- (ii) წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც დაიფარება ან შეიძლება ნებისმიერი ფორმით დაიფაროს, გარდა დადგენილი ოდენობის ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივების გაცვლისა, საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებულ რაოდენობაზე. ამ მიზნებისათვის, (აქციის) უფლებები, ოფციონები ან ვარანტები, რომლებიც

განკუთვნილია საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების შესაძენად ნებისმიერ ვალუტაში გამოსახული ფიქსირებული ოდენობის თანხით, მიიჩნევა წილობრივ ინსტრუმენტებად, თუ საწარმო უფლებებს, ოფციონებს ან ვარანტებს პროპორციულად სთავაზობს მისი საკუთარი, ერთი და იმავე კლასის არაწარმოებული წილობრივი ინსტრუმენტების არსებულ მესაკუთრეებს. ასევე, ამავე მიზნებისთვის საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები არ მოიცავს დაბრუნებად ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც წილობრივ ინსტრუმენტებად არის კლასიფიცირებული 16ა და 16ბ პუნქტების შესაბამისად, ინსტრუმენტებს, რომლებიც საწარმოს ავალდებულებს, მეორე მხარეს გადასცეს საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი მხოლოდ ლიკვიდაციის შემთხვევაში და კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, 16გ და 16დ პუნქტების შესაბამისად, ან ინსტრუმენტებს, რომლებიც წარმოადგენს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების მისაღებად ან გადასაცემად გაფორმებულ ხელშეკრულებებს.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება	თანხა, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები, პლუს ან მინუს ზემოაღნიშნულ თავდაპირველ თანხასა და დაფარვის ვადის დადგომისას გადასახდელ თანხას შორის სხვაობის დაგროვილი ამორტიზაციის ოდენობა, რომელიც გამოთვლილია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კორექტირებულია ზარალის რეზერვის გათვალისწინებით.	ფასს 9
ფინანსური იჯარა	იჯარა, რომელიც გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.	ფასს 16
ფინანსური რისკი	შესაძლო სამომავლო ცვლილებების რისკი ერთ ან მეტ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთში, ფინანსური ინსტრუმენტის ფასში, საქონლის ფასში, ვალუტის გაცვლით კურსში, ფასების ინდექსში ან განაკვეთებში, საკრედიტო რეიტინგში ან კრედიტის ინდექსში, ან სხვა ცვლადში, არაფინანსური ცვლადის შემთხვევაში, თუ ეს ცვლადი სპეციფიკური არ არის ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებისათვის.	ფასს 4
ფიქსირებული გადახდები	მოიჯარის მიერ იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებისთვის მეიჯარისთვის განხორციელებული გადახდები, გარდა ცვლადი საიჯარო გადახდებისა.	ფასს 16
ფულადი ნაკადები	ნიშნავს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოსვლასა და გასვლას.	ბასს 7
ფულადი სახსრები	ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე.	ბასს 7
ფულადი სახსრების ეკვივალენტები	მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.	ბასს 7
ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული	აქტივების უმცირესი იდენტიფიცირებადი ჯგუფი, რომელიც წარმოქმნის ფულადი ნაკადების შემოსვლას საწარმოში და დამოკიდებული არაა სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფებიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე.	ფასს 5
ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული	აქტივების უმცირესი იდენტიფიცირებადი ჯგუფი, რომელიც წარმოქმნის ისეთი ფულადი ნაკადების შემოსვლას საწარმოში, რომლებიც მნიშვნელოვანწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფებიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.	ბასს 36

ფულადი მუხლები	საწარმოს განკარგულებაში არსებული ფული, მისაღები აქტივები და გასანაღდებელი ვალდებულებები, რომლებიც გადახდილი ან მიღებული იქნება ფიქსირებული ან განსაზღვრადი რაოდენობის ფულის ერთეულებით.	ბასს 21
ფულადი აქტივები	საწარმოს მიერ არის ფლობილი ფული და ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფულადი თანხის სახით მისაღები აქტივები.	ბასს 38
ქ		
ქვეიჯარა	ოპერაცია, რომლის ფარგლებშიც საიჯარო აქტივი მოიჯარის მიერ („შუალედური მეიჯარე“) ხელახლა გაიცემა იჯარით მესამე მხარეზე და ძირითად მეიჯარესა და მოიჯარეს შორის იჯარა („ძირითადი იჯარა“) ისევ ძალაში რჩება.	ფასს 16
ყ		
ყიდვა-გაყიდვის მყარი ვალდებულება	შეთანხმება დამოუკიდებელ მხარეებს შორის, რომელიც სავალდებულოა ორივე მხარისათვის და, როგორც წესი, იურიდიული ძალის მქონეა და (ა) განსაზღვრავს ყველა მნიშვნელოვან პირობას, ფასისა და გარიგების ვადების ჩათვლით; (ბ) მოიცავს შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საჯარიმო სანქციებს, რაც გარიგების შესრულებას მაღალი ალბათობით მოსალოდნელს ხდის.	ფასს 5
ყიდვა-გაყიდვა ბაზრის სტანდარტული პირობებით	ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა ისეთი პირობების მქონე ხელშეკრულებით, რომლის თანახმად აქტივის მიწოდება მოითხოვება ისეთ ვადაში, რომელიც, საზოგადოდ, დადგენილია შესაბამისი ბაზრის წესებით, ან კონვენციით.	ფასს 9
ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი	ბაზარი, რომელიც საშუალებას იძლევა, მაქსიმალურად გაიზარდოს ის თანხა, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ან მაქსიმალურად შემცირდეს თანხა, რომელიც გადასახდელი იქნებოდა აქტივის გადაცემისას, საოპერაციო დანახარჯებისა და ტრანსპორტირების დანახარჯების გათვალისწინების შემდეგ.	ფასს 13
შ		
შემოსავალი	ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების შემოსვლის ან ხარისხის გაუმჯობესების, ან ვალდებულებების სიდიდის შემცირების ფორმით, რაც იწვევს საკუთარი კაპიტალის ზრდას, რომელიც დაკავშირებული არ არის საკუთარი კაპიტალის ინვესტირების მხრიდან განხორციელებულ შენატანებთან.	ფასს 15
შემოსავალი/უკუგება პროგრამის აქტივებიდან	პროგრამის აქტივებიდან მიღებული პროცენტები, დივიდენდები და სხვა სახის შემოსავალი, პროგრამის აქტივებთან დაკავშირებული რეალიზებული თუ არარეალიზებული შემოსულობის ან ზარალის ჩათვლით, რომელსაც აკლდება: ა) პროგრამის აქტივების მართვისთვის საჭირო დანახარჯები; და ბ) თვით პროგრამიდან გადასახდელი გადასახადები, იმ გადასახადების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულების შესაფასებლად გამოყენებულ აქტუარულ დაშვებებში.	ბასს 19
შემოსავალი სტრუქტურული საწარმოდან	ფასს 12-ის მიზნებისთვის შემოსავალი სტრუქტურული საწარმოდან, სხვასთან ერთად, მოიცავს მრავალჯერადი და ერთჯერადი ტიპის ჰონორარებს (საზღაურს), პროცენტებს, დივიდენდებს, სტრუქტურული საწარმოებში მონაწილეობის წილების გადაფასების ან აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილ შემოსულობას, ან ზარალს და ასევე სტრუქტურული საწარმოსთვის აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემის შედეგად წარმოქმნილ შემოსულობას, ან ზარალს.	ფასს 12

შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტი	გრანტი, რომელიც არ არის აქტივებთან დაკავშირებული გრანტი.	ბასს 20
შემოსავლის მიდგომა	შეფასების მეთოდები, რომლებიც მომავალ თანხებს (მაგალითად, ფულად ნაკადებს, ან შემოსავლებსა და ხარჯებს) გარდაქმნის ერთ მიმდინარე (ე.ი. დისკონტირებულ) თანხად. რეალური ღირებულების შეფასება განისაზღვრება იმ ღირებულების საფუძველზე, რომელიც გაითვალისწინება მიმდინარე ბაზრის მოლოდინებში მომავალი თანხების შესახებ.	ფასს 13
შემოსავლის ფასი	ფასი, რომელიც გადაიხადეს აქტივის შესაძენად, ან მიიღეს ვალდებულების ასაღებად გაცვლის ოპერაციაში.	ფასს 13
შეპირებული საპენსიო გასამრჯელოს აქტუარული დღევანდელი ღირებულება	საპენსიო პროგრამის შესაბამისად გადასახდელი თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გაიცემა ამჟამინდელ დაქირავებულ პირებსა და წარსულში მომუშავეებზე, უკვე გაწეული მომსახურებისათვის.	ბასს 26
შესასრულებელი ვალდებულება	დაპირება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მომხმარებლისთვის: ა) განსხვავებული საქონლის ან მომსახურების (ან საქონლის ან მომსახურების პაკეტის) გადაცემაზე; ან ბ) განსხვავებული საქონლის ან მომსახურებების სერიის გადაცემაზე, რომლებიც პრაქტიკულად ერთი და იგივეა და მომხმარებელს ერთი და იმავე სქემის მიხედვით გადაეცემა.	ფასს 15
შეუძლებელი	მოთხოვნის გამოყენება შეუძლებელია, თუ საწარმო ვერ გამოიყენებს მას ყველა მართლზომიერი მცდელობის შემდეგ.	ბასს 1 ბასს 8
შეფასების თარიღი	თარიღი, რომლისთვისაც გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება ფასდება ამ სტანდარტის მიზნებისათვის. დაქირავებულ პირებთან და მსგავსი მომსახურების გამწვევ სხვა პირებთან განხორციელებული ოპერაციებისთვის შეფასების თარიღია აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღი. დაქირავებული პირებისა და მსგავსი მომსახურების გამწვევი სხვა პირების გარდა, სხვა მხარეებთან განხორციელებული ოპერაციებისთვის, შეფასების თარიღი არის ის თარიღი, როდესაც საწარმო საქონელს იღებს ან მეორე მხარე მომსახურებას გასწევს.	ფასს 2
შეწყვეტილი ოპერაცია	საწარმოს კომპონენტი, რომელიც ან გაიყიდა, ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და: ა) წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს; ბ) არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან გ) არის გაყიდვის მიზნით შექმნილი შვილობილი საწარმო.	ფასს 5
შექმნილი საწარმო	საწარმო ან საწარმოები, რომელზეც მყიდველი საწარმო იღებს კონტროლს საწარმოთა გაერთიანების დროს.	ფასს 3
შექმნის თარიღი	თარიღი, როდესაც მყიდველი საწარმო ფაქტობრივად იღებს შექმნილ საწარმოზე კონტროლს.	ფასს 3
შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივი	შექმნილი ან შექმნილი ფინანსური აქტივ(ებ)ი, რომელიც (რომლებიც) თავდაპირველი აღიარებისას საკრედიტო რისკით არის გაუფასურებული.	ფასს 9
შვილობილი საწარმო	საწარმო, რომელსაც აკონტროლებს სხვა საწარმო.	ფასს 10

შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები (შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოებისა და დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოების გარდა), რომლებიც გადასახდელია შრომითი საქმიანობის დასრულების შემდეგ.	ბასს 19
შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელო	გასამრჯელო, რომელიც გაცივმა დაქირავებული პირის დასაქმების შეწყვეტის სანაცვლოდ და წარმოიშობა: ა) საწარმოს გადაწყვეტილების შედეგად, დაქირავებულ პირს საპენსიო ასაკამდე შეუწყვიტოს დასაქმება; ან ბ) დაქირავებული პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, დაეთანხმოს საწარმოს მიერ შეთავაზებული გასამრჯელოს მიღებას, საწარმოში შრომითი საქმიანობის შეწყვეტის სანაცვლოდ.	ბასს 19
შრომითი საქმიანობის შემდგომი პერიოდის გასამრჯელოს პროგრამა	ოფიციალური ან არაოფიციალური შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საწარმო შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოებით უზრუნველყოფს ერთ ან მეტ დაქირავებულ პირს.	ბასს 19
შუალედური პერიოდი	ფინანსური ანგარიშგების პერიოდი, რომელიც უფრო მოკლეა, ვიდრე სრული ფინანსური წელი.	ბასს 34
შუალედური ფინანსური ანგარიშგება	ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეიცავს ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს (როგორც აღწერილია ბასს 1-ში), ან შემოკლებულ კომპლექტს (როგორც აღწერილია ბასს 34-ში) შუალედური საანგარიშგებო პერიოდისათვის.	ბასს 34
ჩ		
ჩამორთმევის უფლება	უფლება იმისა, რომ გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს ჩამოართვას გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.	ფასს 10
ჩვეულებრივი აქცია	წილობრივი ინსტრუმენტი, რომელსაც ყველაზე უფრო დაბალი მდგომარეობა უკავია წილობრივი ინსტრუმენტების ყველა სხვა კლასთან მიმართებით.	ბასს 33
ჩვეულებრივი აქციების ფუთ-ოფციონი	ხელშეკრულება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, ჩვეულებრივი აქციები გაყიდოს განსაზღვრულ ფასად, მოცემულ პერიოდში.	ბასს 33
ც		
ცვეთა	აქტივის ცვეთადი ღირებულების მოხმარებული ნაწილის სისტემატური განაწილება, მისი მომსახურების ვადის განმავლობაში.	ბასს 16 ბასს 36
ცვეთადი ღირებულება	აქტივის თვითღირებულება, ან ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივის ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხა, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.	ბასს 16 ბასს 36
ცვლადი საიჯარო გადახდები	იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებისთვის მოიჯარის მიერ მეიჯარისთვის განხორციელებული გადახდების ნაწილი, რომლებიც იცვლება იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მომხდარი ფაქტებისა და გარემოებების ცვლილების შედეგად, გარდა დროის გასვლისა.	ფასს 16
ძ		
ძირითადი საშუალებები	მატერიალური აქტივები, რომლებიც: ა) იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და გამოიყენება: საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.	ბასს 16

ძირითადი ბაზარი ბაზარი, სადაც ყველზე დიდი მოცულობისა და დონის საქმიანობა ხორციელდება მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით. ფასს 13

წ

წაგებიანი ხელშეკრულება ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ვალდებულებების დასაფარად გათვალისწინებული აუცილებლად გასაწევი ხარჯი აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოსალოდნელ სარგებელს. ბასს 37

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ქვემოთ ჩამოთვლილი სამივე მახასიათებლის მქონე ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვა ხელშეკრულება, რომელიც ფასს 9-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება: ფასს 9

- ა) მისი ღირებულება იცვლება რაიმე განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური ინსტრუმენტის ფასის, საბირჟო საქონლის ფასის, სავალუტო კურსის, ფასების ან განაკვეთების ინდექსის, საკრედიტო რეიტინგის და საკრედიტო ინდექსის, ან რაიმე სხვა ცვლადი სიდიდის ცვლილების შესაბამისად, თუ არაფინანსური ცვლადის შემთხვევაში, ეს ცვლადი არ არის ხელშეკრულების რომელიმე მხარის სპეციფიკური მახასიათებელი (ზოგჯერ უწოდებენ „საბაზისო“ ცვლადს);
- ბ) იგი არ საჭიროებს საწყის ნეტო ინვესტიციას, ან საჭიროებს ისეთ საწყის ნეტო ინვესტიციას, რომელიც უფრო მცირეა სხვა სახის ხელშეკრულებებთან შედარებით, რომლებიც, სავარაუდოდ, მსგავს რეაგირებას ახდენს საბაზრო ფაქტორების ცვლილებაზე; და
- გ) მასთან დაკავშირებით ანგარიშსწორება განხორციელდება მომავალში, რომელიმე თარიღით.

წარსადგენი ვალუტა ვალუტა, რომელიც გამოიყენება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად. ბასს 21

წილობრივი ინსტრუმენტი ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოკლების შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას. ფასს 2
ბასს 32

წილობრივი მეთოდი საადრიცხვო მეთოდი, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველად აღიარებას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას ინვესტირებული საწარმოს ნეტო აქტივებში ინვესტორის კუთვნილ წილში შექმნის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად. ინვესტორის მოგება ან ზარალი მოიცავს მის კუთვნილ წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში, ხოლო ინვესტორის სხვა სრული შემოსავალი მოიცავს მის კუთვნილ წილს ინვესტირებული საწარმოს სხვა სრულ შემოსავალში. ბასს 28

წინა პერიოდის შეცდომები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც: ბასს 8

- ა) ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის; და
- ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

ბ

ბელშეკრულება

შეთანხმება ორ ან რამდენიმე მხარეს შორის, რომელიც წარმოქმნის იურიდიული ძალის მქონე უფლებებსა და ვალდებულებებს. ფასს 15

ჯ

ჯგუფი

მშობელი საწარმო და მისი შვილობილი საწარმოები. ფასს 10
ბასს 21

კ

ჰეჯირების ინსტრუმენტი

საწარმოს მიერ განსაზღვრული წარმოებული ინსტრუმენტი, ან (უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების რისკის ჰეჯირებისთვის მხოლოდ) განსაზღვრული არაწარმოებული ფინანსური აქტივი ან არაწარმოებული ფინანსური ვალდებულება, რომელთა რეალური ღირებულება ან ფულადი ნაკადები, სავარაუდოდ, გადაფარავს ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილებებს. ბასს 39

ჰეჯირების კოეფიციენტი

ჰეჯირების ინსტრუმენტის ღირებულებასა და ჰეჯირებული მუხლის ღირებულებას შორის თანაფარდობა, გამოსახული მათი ხვედრითი წონებით. ფასს 9

ჰეჯირებული მუხლი

აქტივი, ვალდებულება, მყარი დაპირება (ვალდებულება), მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგება, ან ნეტო ინვესტიციები უცხოურ ქვედანაყოფში, რომლებიც (ა) საწარმოს უქმნის რეალური ღირებულების ცვლილების ან სამომავლო ფულადი ნაკადების რისკს და (ბ) საწარმოს მიერ კლასიფიცირდება, როგორც ჰეჯირებული მუხლი. ბასს 39

ჰეჯირების ეფექტურობა

ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილების ხარისხი, რომელიც მიეკუთვნება ჰეჯირებულ რისკს და რომლის გადაფარვაც (კომპენსირებაც) ხდება ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილებით. ბასს 39